აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№55 (24.935) ხუთშაბათი, 2 - 3 ივნისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 24-29, შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ პროექტის - „მოსწავლეები გადაწყვეტილებებისთვის“ პრეზენტაციაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით გაიმართა, საპარლამენტო ცხოვრებაში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ყველა ბავშვს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა. „მნიშვნელოვანია, რომ როდესაც პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, ბავშვები და მათი უფლებები ყოველთვის გვახსოვდეს. ამ მხრივ, საქართველოში დიდი წინსვლაა“, - აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

* * *

ლიეტუვის დედაქალაქში სამუშაო ვიზიტით მყოფმა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში, რომლის ძირითად მიზანს საქართველოს პოზიციისა და ევროკავშირთან ურთიერთობებში მიღწეული პროგრესის გაღრმავების გზების წარმოჩენა წარმოადგენდა. იმსჯელეს საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე შეტანილი განაცხადის და მისი დადებითი გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობაზე. დისკუსიას ლიეტუვის სამთავრობო და პოლიტიკური წრეების, პარლამენტის, დიპლომატიური კორპუსის და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

* * *

1 ივნისიდან სოციალურად დაუცველ ბავშვთა ფულადი დანამატი 150 ლარამდე გაიზარდა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ფულადი დანამატის მიმღები არის 16 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვი, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს. პროგრამა 215 000 ათასზე მეტ ბავშვს შეეხება, რისთვისაც სახელმწიფო 341 მილიონ ლარს გამოჰყოფს.

* * *

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულებისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის, საქმისა და ქვეყნის ერთგული სამსახურისთვის ღირსების მედლით დააჯილდოვა შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს II ოპერატიული განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი ალექსანდრე გულუა. ღირსების მედლით დაჯილდოვდა, ასევე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი სალომე ულენტი სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულებისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის, საქმისა და ქვეყნის ერთგული სამსახურისთვის.

მოამზადა
ია შველიძემ

ანგარიშით – კანონმდებლებთან

სსიპ „აჭარის დასაქმების სააგენტოს“ ხელმძღვანელმა თემურ კახიძემ აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კანონმდებლებს 2021 წელს სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინა და მიმდინარე პროგრამების შესახებ ისაუბრა

მან სააგენტოს მიერ დასაქმების ხელშეწყობის მართვის, უზრუნველყოფის მიმართულებების, პრიორიტეტებისა და გამოწვევების პარალელურად, დეტალური ინფორმაცია წარმოადგინა სამუშაოს მაძიებლების, დამსაქმებლების, ბიზნესის განვითარების, შშმ პირთა, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების, ასევე გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა მიმართულებით განხორციელებული ტრენინგ-სემინარების, ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ.

როგორც თემურ კახიძემს აღნიშნა, პანდემიის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება პროფესიული რესურსი. მომხსენებელმა კანონმდებლებს მადლობა გადაუხადა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების ინიცირებისთვის, რითაც სააგენტოს დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით გრანტის გაცემის უფლებამოსილება მიენიჭა.

სხდომაზე გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელთა მოგვარებაში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე და უმაღლესი საბჭოს წევრები სააგენტოს ხელმძღვანელს თანადგომას დაჰპირდნენ.

თემურ კახიძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია კომიტეტმა ცნობად მიიღო.

ანკა ჩხიკვაძე

უმაღლეს საბჭოში UNDP-ისა და ENPARD 3-ის პროექტის წარმომადგენლებს უმასპინძლეს

აჭარის უმაღლეს საბჭოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში ENPARD 3-ის“ პროექტის წარმომადგენლებს უმასპინძლეს. ინფორმაცია ამის შესახებ საკანონმდებლო ორგანომ გაავრცელა.

„უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეებმა - ფრიდონ ფუტკარაძემ, მარინე გვიანიძემ და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ხალვაშმა სტუმრებთან სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, საკანონმდებლო ორგანოში შემოსულ პეტიციებსა და თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს.

სამუშაო შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მაღალმთიან აჭარაში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის თვალსაზრისით არსებულ ვითარებაზე, საჭიროებებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეკონომიკური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელმა გიორგი ნანობაშვილმა, პროექტის - „სოფლის მეურნეობაში პროფესიული სისტემის მოდერნიზება“ ხელმძღვანელმა ელენე ცხაკაიამ, „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში ENPARD 3-ის“ პროექტის ეკონომიკური განვითარების კოორდინატორმა გიორგი ციმინტიამ და ამავე პროექტის კოორდინატორმა აჭარაში ვახტანგ კონცელიძემ უმაღლესი საბჭოს წევრებს უკვე განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე მიაწოდეს ინფორმაცია.

სამუშაო შეხვედრაზე გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც აქტიური თანამშრომლობითა და კოორდინირებული მუშაობით ხელს შეუწყობს აჭარაში ქალთა ეკონომიკური მხარდაჭერის თვალსაზრისით დაგეგმილი პროექტების ეფექტურად განხორციელებას“, - აღნიშნულია საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში.

ია შველიძე

მთისპირა და საკურორტო სოფლების მოსახლეობა ითხოვს

2

ევროკავშირი - ისტორიული სამიტის მოლოდინში

3

წარმატებული მუსიკოსი, რომელიც ბავშვობიდან მსახიობობაზე ოცნებობდა

5

«უკვე ბევრნი ვართ, ვისაც შეუძლია სოფლის გადარჩენა»

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მთისპირა და საკურორტო სოფლების მოსახლეობა ითხოვს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მთისპირა სოფელია ბრილი. წლევანდელი უხვთოვლიანი ზამთრის შემდეგ, თოვლმა სოფლის შემოგარენს მაისშიც თავი შეახსენა

ბარაქიან მოსავალს ვეღარ მიიღებენ აქაურები თესლოვანი და კავლოვანი ხილისგან. ბრილის მკვიდრები იხტიბარს არ იტეხენ, ამინდის ჭირვეულობას, სხვა პრობლემებს ორგანიზებულ შრომას უპირისპირებენ, რაც კიდეც აღნიშნეს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე მირიან ქათამაძე, შუახევის მერის მოადგილე რუსუდან შავაძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი მურად ქათამაძე როცა ბრილელებს ანგარიშს აბარებდნენ, მათ პრობლემებსაც გაეცნენ. დროის მოთხოვნებს ვეღარ პასუხობს სოფელში შემოსასვლელი ცენტრალური გზა. წელსაც მხოლოდ 1,1 კილომეტრზეა გათვალისწინებული ბეტონის საფარის მოწყობა.

ბრილი-ჟანივრის გზა ისეთი ავარიულია, რომ მხოლოდ მაღალი გამავლობის ტრანსპორტითაა მიმოსვლა შესაძლებელი. საშველი არ დაადგა ნამეტი ხილის რეალიზაციას. შარშან ბრილში 5 ტონამდე თამბაქო აწარმოეს. ახლა მისი რეალიზაციის პრობლემა აქვთ. ავარიულია სოფლის საჯარო სკოლის ხის შენობა. იგი 1969 წელსაა აშენებული და თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ პასუხობს. შუახევის რამდენიმე სოფელში მოსწავლეთა კონტინგენტი მინიმუმამდე შემცირდა. მომავალ სასწავლო წელს ბრილში 3 პირველკლასელს მიიღებენ.

წყალსაყრის ადმინისტრაციული ერთეულის 5 სოფლის მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთების საკუთრებაში უფასოდ დარეგისტრირება 2024 წლისთვის იგეგმება. სოფელ ბრილზე გადის წყალსადენის მაგისტრალი, რომელიც შუახევის მუნიციპალიტეტის 15-მდე სოფელსა და დაბა შუახევის აბონენტებს უნდა მოემსახუროს. მშენებარე კომპანიას და მიწის მესაკუთრეებს პრობლემები რომ არ შეექმნათ, ბრილელებმა მიწის საკუთრებაში დარეგისტრირების ვადების გადმოწევა მოითხოვეს.

ასევე საინტერესოდ წარიმართა საკურორტო სოფელ გომარდულის მოსახლეობასთან შეხვედრა. გზა, წყალი, მიწის საკუთრებაში დარეგისტრირება აქაც მოითხოვეს.

გომარდულს, თერნალს, სხეფს, ღორექეთს, სხეფელას ემსახურება 9 კილომეტრი სიგრძის სარწყავი არხი, რომელიც სათავეს კარას მთის ძირიდან იღებს. საირიგაციო საშუალებაზე ბოლო წლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა, მაგრამ გამართულად არ მუშაობს. რიგ მონაკვეთებზე ლითონის ან გოფრირებული მილების ჩაწყობაა საჭირო, რომ წყალმა აღარ გაჟონოს და ბარათაულში მცხოვრებ ოჯახებს საფრთხე არ შეუქმნას.

გომარდულელებმა თანადაფინანსების პროგრამებში ჩართვისთვის შიდასასოფლო გზების, ელექტრომეურნეობის მოწესრიგებისთვის თანადგომა მოითხოვეს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან.

- ორივე სოფელში, დიალოგის რეჟიმში გამართულ შეხვედრაზე, მოსახლეობის წარმომადგენლებმა რიგი პრობლემები წამოჭრეს, მათი გადაწყვეტისთვის შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ვიზრუნებ, - გვითხრა მირიან ქათამაძემ.

გალიფ ოზთურქი დაკავებულია

ხატია იაშვილი 555 18 48 88

31 მაისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ბათუმში, თურქი ბიზნესმენის გალიფ ოზთურქის კომპანიაში შევიდა. დღის ბოლოს უწყებამ მისი დაკავება ოფიციალურად დაადასტურა

„საქართველოს ფინანსთა სამინიტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ერთი პირი დააკავეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, მოქალაქე გ.ო.-ს მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდების, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტზე მიმდინარე გამოძიების პროცესში, საქმის ვითარების გასარკვევად საჭირო მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, 2022 წლის 31 მაისს, სასამართლოს განჩინებების საფუძველზე, მოქალაქე გ. ო.-სთან, ასევე, მასთან დაკავშირებულ პირებთან და კომპანიებში განხორციელდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. გ.ო.-ს საცხოვრებელ მისამართზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, სხვა ნივთიერ მტკიცებულებებთან ერთად, ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით ფულადი თანხა, ასევე, აღმოჩენილ იქნა, სავარაუდოდ, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები, რასთან დაკავშირებითაც გ.ო. დაკავებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 261-ე მუხლების პირველი ნაწილებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 წლამდე ვადით. საქმეზე ინტენსიურად გრძელდება შესაბამისი ღონისძიებები, რომლის შედეგების შესახებ პერიოდულად მოხდება საზოგადოების ინფორმირება“, - ნათქვამია განცხადებაში, რომელიც უწყებამ გაავრცელა.

დაკავების და ჩხრეკის პარალელურად, სასტუმრო „ეიფორიასთან“ თურქი ბიზნესმენის მხარდამჭერთა აქცია მიმდინარეობდა, სადაც თანამშრომლები მის გათავისუფლებას ითხოვდნენ. დღის ბოლოს გალიფ ოზთურქის კომპანია „მეტრო ჰოლდინგმა“ განცხადება გაავრცელა.

„მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ტელევიზიით და საინფორმაციო საშუალებებით ვრცელდება გადაუმოწმებელი ინფორმაცია სხვადასხვა სისხლის სამართლებრივი ბრალდებით „მეტრო ჰოლდინგის“ დამფუძნებლის, ცნობილი ბიზნესმენის და მეცენატის გალიფ ოზთურქის დაკავების შესახებ. „მეტრო ჰოლდინგის“ მენეჯმენტი და ადვოკატები მუშაობენ იმაზე, რომ ამ სრულიად აბსურდული მიზეზებით გამოწვეულ ქმედებას მიეცეს სწორი შეფასება და გატარდეს ყველა სათანადო კანონიერი ღონისძიება. იმედს გამოვთქვამთ, რომ უახლოეს საათებში ეს გაუგებრობა აღმოიფხვრება და კომპანიები დაუბრუნდებიან ჩვეულ რეჟიმში საქმიანობას. მოვუწოდებთ ყველა ჩვენს გულშემატკივარს, შეინარჩუნონ სიმშვიდე. მადლობას გიხდით ყველას მხარდაჭერისა და თანადგომისთვის“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ცნობისთვის: ბიზნესმენ გალიფ ოზთურქის საკუთრებაშია „მეტრო ჰოლდინგი“, რომელიც ბათუმში უმსხვილეს ტურისტულ ობიექტებს ფლობს. მათ შორისაა 455-ნომრიანი სასტუმრო „ეუფორია“, „ინტურისტი“, „მეტრო სქაი თაუერი“ და „ბიზნეს ლეჯენდი“, ასევე, ბათუმის უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი „მეტრო სითი“.

პოეტი – სკოლაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბოძაურის საჯარო სკოლამ შემოქმედებითი საღამო გაუმართა პოეტს, დამსახურებულ პედაგოგსა და პუბლიცისტ მიხეილ გელაძეს

სკოლის საკონფერენციო დარბაზში მთელი სოფელი შეიკრიბა, ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, ოქრუაშვილების, დიოკნისის, ბეღლეთის, დიდი რიყეთის, მანიაკეთს, დიაკონიძეების, ქედლების რიყეთის სკოლების დირექტორები და მასწავლებლები.

პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს პედაგოგებმა მზევინარ კოჩალიძემ და ციური შავაძემ. სტუმარს მიესალმნენ ბოძაურის საჯარო სკოლის დირექტორი არსენ შავაძე, ხულოს მერის მოადგილე თამაზ აბაშიძე, საკრებულოს დეპუტატები რამაზ და ლევან გელაძეები, ბოძაურის, ოქრუაშვილების, ბეღლეთის საჯარო სკოლების დირექტორები არსენ შავაძე, ზვიად სოლომონიძე, რამაზ ლომიძე, ბოძაურის საჯარო სკოლის მასწავლებლები თენგიზ ხოზრევანიძე, შორენა ძირკვაძე.

მხატვრული კითხვის წრის წევრებმა (ხელმძღვანელები მარინა შავაძე და მზევინარ კოჩალიძე) მიხეილ გელაძის ლექსების მიხედვით შექმნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ჩემით იწყება საქართველო“ წარმოადგინეს; ნორჩმა დეკლამატორებმა რენარ, თათია, ელზა, ანეტა შავაძეებმა, ლიკა და ნინი ხოზრევანიძეებმა წაიკითხეს ლექსები.

მიხეილ გელაძემ ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა და სკოლის ბიბლიოთეკას საკუთარი წიგნები გადასცა. არსენ შავაძემ პოეტს ხელით მოქარგული „ვეფხისტყაოსანი“ უსახსოვრა.

„მსოფლიოში პირველია“

ხატია იაშვილი 555 18 48 88

მომსახურების სფეროში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა საერთაშორისო ექსპერტმა ჯონ შოულიმ საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის მასტერკლასი გამართა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებულ ტრენინგს სასტუმროების, ტურისტული კომპანიებისა და სტუმარმასპინძლობის სფეროს სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ, მათ შორის, აჭარაში მოქმედი ტურისტული კომპანიებიც.

ამერიკელი სპეციალისტი, არაერთი წიგნის ავტორი, სამოტივაციო სპიკერი და ბიზნესმენი, საერთაშორისოდ აღიარებული სერვისგურუ ჯონ შოული საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით ესტუმრა. „ჩვენი ამოცანაა ჩვენი მიზნობრივი ტურისტული ბაზრების მაქსიმალური

დივერსიფიცირება, ასევე, საერთაშორისო მოგზაურობის ნაწილში ტურისტული ნაკადების წილის გაზრდა, რაც ავტომატურად ქვეყნისთვის მაღალ შემოსავალს ნიშნავს. ამის წინაპირობა ჩვენი ვიზიტიორებისთვის საერთაშორისო სტანდარტის, ტურისტული პროდუქტისა და სერვისის შეთავაზებაა. ეს კონკრეტული მასტერკლასი კერძო სექტორისთვის უნიკალური შესაძლებლობაა, რათა კიდევ უფრო გაიღრმავონ ცოდნა, განსაკუთრებით კი იმ დროს, როდესაც ამ მასტერკლასს ატარებს საერთაშორისოდ აღიარებული სერვისგურუ 45-წლიანი გამოცდილებით. იგი არის არაერთი გამოცემის ავტორი, სამოტივაციო სპიკერი, წამყვან ბრენდებს მსოფლიოში კონსულტაციებს უწევს, ასევე მისი სტატიები საერთაშორისო გამოცემებში იბეჭდება“, - განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა მედეა ჯანიაშვილმა.

ჯონ შოული მიიჩნევს, რომ საქართველოს ტურისტული მიმართულება მსოფლიოში ნომერ პირველია. „თქვენს მშვენიერ ქვეყანაში ძალიან კარგი ხალხია, ქართული კერძები ძალიან გემრიელია. ვამედოვნებ, შეხვედრის მონაწილეები იმ პრინციპებს გამოიყენებენ, რის შესახებაც ვსაუბრობდი. იმისათვის, რომ ქვეყანა მსოფლიოში იყოს მიმზიდველი, საჭიროა მომსახურების სფერო იყოს გამორჩეული და ძლიერი. მომსახურების სფეროსთვის კლიენტებთან ურთიერთობის ყველა ელემენტი მნიშვნელოვანია“, - განაცხადა ჯონ შოულიმ.

ცნობისათვის: ჯონ შოულის კომპანიის სერვისის პროგრამით მსოფლიოს 40 ქვეყანაში 2 მილიონმა ადამიანმა ისარგებლა. შოული კონსულტაციებს უწევს ისეთ კომპანიებს, როგორებიცაა **Hyatt-ი Sheraton-ი, Coca-Cola, Fedex-ი, pple, Sales Forse, DHL** და სხვა.

ევროკავშირი - ისტორიული სამიტის მოლოდინში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ევროკავშირი - კეთილდღეობა და სტაბილურობა, თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ამ ცნებებთან ასოცირდება მისი როლი და ფუნქცია, მასში ინტეგრაციისთვის კი მრავალი ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტის განვითარება და რეფორმების გატარებაა აუცილებელი, ქვეყნის პროგრესს და წინსვლას რომ განაპირობებს. ამიტომაც ესწრაფვის ჩვენი ქვეყანა ევროკავშირში გაერთიანებას. ჩვენმა ხელისუფლებამ ევროკავშირის კითხვარი შეავსო, ევროკავშირი 24 ივნისს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს

როგორ გამოიყურება საქართველო ამ ჭრილში, რამდენად ვართ მზად ევროსტრუქტურებში გასაერთიანებლად და როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ საწადელს მივაღწიოთ? ამის თაობაზე პოლიტოლოგი ***გელა ირემაძე*** *გვესაუბრება.*

- ევროკავშირმა 24 ივნისს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რა მოლოდინი გაქვთ?

- ნათლად უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი მნიშვნელოვანი აქტორია გლობალურ პოლიტიკაში, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მომავალს წყვეტს აშშ-სა და ჩინეთთან ერთად. იგი საერთაშორისო ასპარეზზე წამყვანი მოთამაშეა ჯერ კიდევ 1992 წლიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის ეკონომიკა მსოფლიოს ეკონომიკის სამეულში შედის. მოკლედ, ევროკავშირში გაერთიანება მხოლოდ იმ ქვეყნებისთვისაა შესაძლებელი, ევროპულ ღირებულებებს და მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, დიახ, უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა, ევროკავშირმა სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანას გაერთიანების თვალსაზრისით ეპოქალური შანსი მისცა და კითხვარი გაუგზავნა. თუმცა ისიც მოსალოდნელია, რომ მათთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისგან თავი შეიკავოს, რაც რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს, ამიტომ ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა იაქტიუროს და დაარწმუნოს ევროკავშირი საქართველოს ევროპულ მისწრაფებებში. ამ მხრივ დამაიმედებელია საქართველოში ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელის განცხადება: „ჩვენ გვჯერა ჩვენი პარტნიორებისა და გვინდა, საქართველომ თავისი ადგილი დაიმკვიდროს ევროპასა და მსოფლიოში“.

- როგორც ცნობილია, დასავლეთის მოთხოვნები და რეკომენდაციები მრავალმხრივია. რამდენად ვაკმაყოფილებთ მათ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით?

- ჩვენი ქვეყანა რომ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს და, ამავდროულად, რუსეთი არ ეწინააღმდეგებოდეს ევროკავშირის გაფართოებას აღმოსავლეთით, მაშინ საქართველო უკვე ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა არც ისე სახარბიელოა ჩვენთვის, რასაც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები აქვს.

- რას გულისხმობთ?

- უპირველესად იმას, რომ საქართველო ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, ასევე - ამ გაერთიანებაში შედის სკეპტიკური ქვეყნები და რუსეთი. მაგალითად, თუ ბოლო წლების პროცესებს გავაანალიზებთ, ევროკავშირი ჩვენ მიერ გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილებას აუცილებლობად თვლის, გვაძლევს რეკომენდაციებს, რომ ამა თუ იმ სფეროში რეფორმები გავატაროთ, რათა დავუახლოვდეთ ევროსტრუქტურებს. ჩანს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, ამგვარი რეკომენდაციებით, რომლებსაც ვასრულებთ, მივყავართ წინ და ამის დაუნახაობა უმადურობა იქნებოდა.

- ევროკავშირი, როგორც ცნობილია, გვეხმარება რეფორმების გატარებაშიც...

- დიახ, ევროკავშირი გვეხმარება. ხაზგასმულია, რომ ჩვენ მიერ გატარებული რეფორმები ევროკავშირის მიერ დადებითადაა შეფასებული. თუმცა ისიც ცხადია, რომ ჯერ კიდევ შორს ვართ სრულყოფილ დემოკრატიამდე და აქამდე ძალიან მნიშვნელოვანი გზაა გასავლელი. ევროკავშირი ეტაპობრივად იმიტომ გვაწვდის რეფორმებისთვის რეკომენდაციებს, რომ ერთბაშად სახელმწიფოს სრულად რეფორმირება შეუძლებელია და არც გვთხოვს - ამას შესაბამისი ფინანსური, საკადრო და ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა სჭირდება და ევროკავშირიც თანდათან გვაძლევს რეკომენდაციებს, რომელ სფეროში უნდა დავაჩქაროთ რეფორმები მათ სტანდარტებთან მისაახლოებლად.

- როგორც ამბობენ, ევროკავშირთან დაახლოების შემაფერხებელი ფაქტორი რუსეთია...

- ცხადია, რუსეთი ეწინააღმდეგება პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტეგრაციას ევროპულ ოჯახში. ამ მიმართებით „აქილევსის ქუსლად“ დარჩება სეპარატისტული რეგიონები, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და რუსეთი. ჩვენ შეიძლება, ევროკავშირის ყველა ინსტიტუციონალური მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მაინც დარჩება ხელშემშლელ ფაქტორად ევროკავშირში გაერთიანებისთვის, რადგან ეს ფაქტორი ქვეყანას არასტაბილურობის იმიჯს უქმნის დასავლელი პარტნიორების თვალში. ხელისუფლების ძალისხმევასთან ერთად, საჭიროა ევროპელი პარტნიორებიც დაგვეხმარონ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში გარკვეული პროგრესი გვქონდეს, მაგრამ ჯერჯერობით ამ მიმართებით, როგორც გითხარით, არსებობს ხელისშემშლელი ფაქტობრები: სკეპტიკური ქვეყნები და რუსეთი.

- ამბობენ, ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნები სამ კატეგორიადაა დაყოფილი: გაფართოების მომხრეები, შუალედური და ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც, მეტ-ნაკლებად, რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებენ. რა შეიძლება ასეთ რეალობაში მოვიმოქმედოთ?

- ახალი ევროპული ქვეყნები (სოციალისტური ბანაკის ყოფილი წევრები) მტკიცედ გვიჭერენ მხარს ტრადიციული ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, რომლებიც უფრო მეტ თავშეკავებას იჩენენ. ამის მიზეზი რუსეთის ფაქტორია, მასთან აქვთ გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები და ეს უფრო ბევრად უღირთ, ვიდრე საქართველოს მხარდაჭერა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდეს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. სამწუხაროდ, რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ყოველთვის გარკვეულ როლს ითამაშებს, არადა, ამ დრომდე იგი მკვეთრ განცხადებებს ევროკავშირის მიმართ არ აკეთებდა, ამჟამად კი აგრესიას ავლენს. ამ მხრივ რამდენიმე ფაქტორის დასახელება შეიძლება.

- დაგვიკონკრეტეთ, თუ შეიძლება.

- მაგალითად, ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გაფართოების თვალსაზრისით, არსებული წესები, პრინციპები, კანონის უზენაესობა, ქვეყნების თავისუფალი არჩევანი საგარეო ვექტორთან დაკავშირებით და ის დაახლოების (სამეზობლო) პოლიტიკა, რომელიც რუსეთის საზღვრებს უახლოვდება, ამ უკანასკნელის უკმაყოფილებას იწვევს.

- ცნობილია ისიც, რომ რუსეთი ევროკავშირის წინააღმდეგ საინფორმაციო ომს აწარმოებს, ამ მხრივ რისი თქმა შეიძლება?

- დღეს მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის საინფორმაციო ომი მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ რუსული პროპაგანდა ყოველმხრივ ცდილობს მოსახლეობის ტვინის გამორეცხვას სხვადასხვა ნიუსით, შეუძლებელია ინფორმაციებით საკითხების დაბლოკვა, ანუ რუსეთის მოქალაქე, ვთქვათ, მეზობელ პოლონეთში, მით უფრო, სკანდინავიურ ქვეყნებში რომ ხედავს კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვას, სახელმწიფო ინსტიტუტების დამოკიდებულებას მოქალაქეებისადმი, საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებული ნახულს აანალიზებს და რუსეთის საწინააღმდეგო კითხვები უჩნდება. სწორედ ეს და სხვა ფაქტორები გარკვეულწილად აფერხებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაწევრიანებას ევროკავშირში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენმა ქვეყანამ ამ მხრივ მუშაობა უნდა შეწყვიტოს.

> ***„დღეს მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის საინფორმაციო ომი მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ რუსული პროპაგანდა ყოველმხრივ ცდილობს მოსახლეობის ტვინის გამორეცხვას სხვადასხვა ნიუსით, შეუძლებელია ინფორმაციებით საკითხების დაბლოკვა, ანუ რუსეთის მოქალაქე, ვთქვათ, მეზობელ პოლონეთში, მით უფრო, სკანდინავიურ ქვეყნებში რომ ხედავს კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვას, სახელმწიფო ინსტიტუტების დამოკიდებულებას მოქალაქეებისადმი, საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებული ნახულს აანალიზებს და რუსეთის საწინააღმდეგო კითხვები უჩნდება“***

- ხელისუფლებამ ამ მიმართებით რა უნდა გააკეთოს?

- ხელისუფლებამ უფრო მეტი მონდომებით უნდა შეასრულოს ევროკავშირის მოთხოვნები როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, რათა გავხდეთ ევროკავშირის წევრები. ეს საჭიროა, უპირველესად, ჩვენთვის, ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებისთვის. მიზნის მიღწევას საკმაო დრო, მიზანდასახულობა და თანმდევი პოლიტიკის გატარება სჭირდება, რათა მიზეზები ვერ მოგვიძებნონ ევროკავშირში გაწევრიანების საწინააღმდეგოდ. რაც მთავარია, დასავლეთს და რუსეთს უნდა ავუხსნათ, რომ დასავლური კურსი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია არ არის, ეს ჩვენი საზოგადოების გაანალიზებული ხედვაა, რაც აისახა რეფერენდუმზე. ასე რომ, ევროპული გეზი ჩვენი არჩევანია, ძალა ევროპაშია და ეს ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მაგალითზეც ნათლად ჩანს.

- დაბოლოს, 30 წელია, რაც საქართველოს ამერიკასა და ევროპასთან აქვს ურთიერთობები. ამ პერიოდში რა დახმარებები გაგვიწიეს და, აქვე, თანმდევი კითხვა: ევროკავშირისა და ნატოს კარი აუცილებლად გაიღება, მაგრამ იმ მომენტისთვის მზად ვიქნებით?

- საკმაოდ დიდი დახმარებება გაგვიწია აშშ-მა და ევროკავშირმა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, მათი თანადგომა რომ არა, ეს გაგვჭირდებოდა. რაც შეეხება მომდევნო კითხვას, თუ ევროკავშირის და ნატოს მხრიდან პოლიტიკური ნება იქნება, კარი აუცილებლად გაიღება. მთავარია დასავლეთის პოლიტიკური ნება. ეს შეიძლება მოხდეს ხვალ ან რამდენიმე წლის შემდეგ, საკუთრივ ევროატლანტიკური სტრუქტურების ნებას კი ის საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია განაპირობებს, რომელიც მსოფლიოში შეიქმნება.

უკრაინისთვის განკუთვნილი იარაღის ახალი პაკეტი არის „ზუსტად ის, რაც მათ სჭირდებათ“

აღნიშნულის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან ერთად ვაშინგტონში გამართული პრესკონფერენციისას განაცხადა. მისი თქმით, ნატოს ერთიანობა კონფლიქტმა მხოლოდ გააძლიერა, რასაც რუსეთი არ ელოდა.

აშშ-ის პირველმა დიპლომატმა კვლავ გაიმეორა, რომ ნატო ალიანსის ტერიტორიის „თითოეულ დუიმს“ დაიცავს და დასძინა, რომ დამატებითი 20.000 სამხედრო აღმოსავლეთ ფლანგზეა განლაგებული.

შვედეთისა და ფინეთის სამხედრო ალიანსში გაწევრიანებაზე საუბრისას ბლინკენმა აღნიშნა, რომ „ზეკვალიფიციურები არიან“ ნატოში რაც შეიძლება მალე გასაწევრიანებლად.

სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ უკრაინამ ოფიციალურ ვაშინგტონს გარანტია მისცა, რომ აშშ-ის მიერ გაგზავნილი ახალი, მაღალტექნოლოგიური სარაკეტო სისტემები რუსეთის ტერიტორიაზე სამიზნეების წინააღმდეგ გამოყენებული არ იქნება.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ორივე ქვეყნის სურვილის შემთხვევაში, რუსეთი მზადაა, ხელი მოაწეროს სამშვიდობო შეთანხმებებს კიევთან - ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის საბჭოში განაცხადეს. „რუსეთი ღიაა უკრაინასთან მოლაპარაკებებისა და მშვიდობის მომტანი ხელშეკრულებების ხელმოწერისთვის“, - აღნიშნა რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერმა ვალენტინა მატვიენკომ. მისივე თქმით, საჭიროა დიპლომატიური, მშვიდობიანი გადაწყვეტილებები, რასაც ორი ქვეყნის ნება სჭირდება. „მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, შეთანხმებების ხელმოწერისთვის, რომელიც შეაჩერებს სამოქალაქო ომს უკრაინაში და მიგვიყვანს მშვიდობამდე, მაგრამ ვერ ვხედავთ კიევის მხრიდან მსგავს რეაქციას“, - დასძინა მატვიენკომ.

* * *

იმის გათვალისწინებით, რომ ექსპრეზიდენტმა ბიბილოვმა აღნიშნული ინიციატივა ჩვენთან არ შეათანხმა, ახალი მეთაურის გადაწყვეტილება რეფერენდუმის შეჩერების შესახებ ფასდება როგორც ჯანსაღი, - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ. მისი თქმით, ოკუპირებულ ე. წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვს ღრმა ანალიზს და მხარეებს შორის შეთანხმებას, რისთვისაც რუსეთი მზად არის. შეგახსენებთ, ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ ოკუპირებული ცხინვალის ე. წ. პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა რუსეთთან მიერთების საკითხზე რეფერენდუმი დანიშნა, რაც ახლად არჩეულმა ე. წ. პრეზიდენტმა ალან გაგლოევმა გააკრიტიკა გადაწყვეტილების მასთან შეუთანხმებლობის გამო.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტი პირობას დებს, რომ უკრაინაში ფრანგი ჟურნალისტის მკვლელობის შემდეგ „დაუსჯელობის წინააღმდეგ იბრძოლებს“. „ჟურნალისტები, მშვიდობიანი მოსახლეობა, ჰუმანიტარული მუშაკები დაცულნი უნდა იყვნენ საომარ ზონებში“, - აღნიშნა ემანუელ მაკრონმა. საფრანგეთის ანტიტერორისტულმა პროკურატურამ ჟურნალისტის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოძიება ომის დანაშაულებებზე უკვე დაიწყო. ფრანგული ტელეკომპანია **BFMTV** -ის ჟურნალისტი, 32 წლის ფრედერიკ ლეკლერკ-იმჰოფი 30 მაისს სევეროდონეცკის მახლობლად, ჰუმანიტარული ოპერაციის გაშუქებისას, რუსული ჭურვის ნამსხვრევებს ემსხვერპლა.

* * *

უკრაინის უმაღლესმა რადამ ქვეყნის სახალხო დამცველ ლუდმილა დენისოვას უნდობლობა გამოუცხადა და უფლებამოსილება შეუჩერა. ინფორმაციას გამოცემა „უნიანი“ ავრცელებს. დენისოვას წინააღმდეგ ხმა 234-მა დეპუტატმა მისცა. ლუდმილა დენისოვა ომბუდსმენის თანამდებობას 2018 წლის 15 მარტიდან იკავებდა. უკრაინული მედიის ცნობით, მიმდინარე წლის აპრილში ყოფილმა ბავშვთა ომბუდსმენმა მიკოლა კულებამ დენისოვა რუსებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში დაადანაშაულა.

მოამზადა
ია შველიძემ

დასავლეთის დიდი ქვეყნები მაღალი ინტენსივობის კონფლიქტიდან არაერთი გაკვეთილის გამოტანას იწყებენ

24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის მიერ წამოწყებული თავდასხმის შემდეგ დასავლელი ექსპერტები და დიდი სახელმწიფოები კონფლიქტის ევოლუციას ყოველდღიურად აკვირდებიან, როგორც ტრადიციული არხების - დაზვერვა და სატელიტური სურათები, ისე არაერთი ღია წყაროს - სოციალური ქსელების გამოყენებით. ბრძოლის დაწყებიდან სამ თვეში მაღალი ინტენსივობის კონფლიქტიდან არაერთი გაკვეთილის გამოტანა შეიძლება, რაც სახელმწიფოსთვის იმდენად მნიშვნელოვან საშუალებებს მოიცავს, როგორიც ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღარ გამოყენებულა.

ასიმეტრია რუსულ და უკრაინულ ძალებს შორის - შედარებითი ფაქტი

ველზე განლაგებული რუსული და უკრაინული ძალების ანგარიშების ანალიზის შედეგად ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ გავრცელებული აზრისა და კიევის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის საპირისპიროდ, უკრაინული ძალები რუსებს დიდად სულაც არ ჩამოუვარდება.

ერთ-ერთი ფრანგული სამხედრო წყაროს თანახმად, ადამიანური რესურსის თვალსაზრისით „ძალები საკმაოდ დაბალანსებულია“. შეფასებათა უმეტესობის თანახმად, 145 ათასი უკრაინელი ჯარისკაცის წინააღმდეგ რუსებმა ომის დაწყების შემდეგ მხოლოდ 160 ათასი გამოიყვანეს. ეს მოქმედი ფრანგული ჯარის 80% გამოდის, თუმცა ახლოსაც არაა იმ თეორიულ რესურსამდე, რაც მოსკოვს აქვს: დაახლოებით 280 ათასი ქვეითი ჯარისკაცი, რასაც ემატება 50 ათასი პარაშუტისტი და 15-ათასიანი საზღვაო არმია. ამასთან, უკრაინელების განკარგულებაში 240-ათასკაციანი რეზერვია (მას ტერიტორიული თავდაცვის ძალებს უწოდებენ), რომლის მობილიზაციაც კონფლიქტის დაწყების შემდეგ ძალიან სწრაფად მოხერხდა.

„რუსები არ ელოდნენ უკრაინული რეზერვის რეაქტიულობას. სწორედ მათმა სწრაფმა მობილიზაციამ აღკვეთა კიევის დაცემა, რამდენადაც რეგულარული ჯარების ბირთვი დონბასში იყო გადასროლილი. თუმცა, მათი ნაკლებობაა სამხრეთით, ყირიმიდან შესული ჯარების წინააღმდეგ“, - ამბობს ლეო პერია-პენე, საერთაშორისო ურთიერთობების ფრანგული ინსტიტუტის (IFRI) მკვლევარი. უკრაინას შეუძლია რამდენიმე ათას უცხოელ მოხალისეს (ლეგიონერებს) დაეყრდნოს, თუმცა დაპირისპირება ბევრად ასიმეტრიულია მატერიალური თვალსაზრისით - უკრაინელებს არ გააჩნდათ ისეთი ავიაცია, ფლოტი, ტანკები ან ფრთოსანი რაკეტები, რომლებიც მოსკოვისას შეედრებოდა.

ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ - მგრძნობიარე საკითხი

ეს კონფლიქტის პირველი სამი თვის ერთ-ერთი შავი ხვრელია. რუსების მხარეს დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობის შესახებ ბევრი შეფასებაა, უკრაინელთა შესახებ კი თითქმის არავითარი. ომის რეალობას ნაწილობრივ დასავლური ბანაკი ნიღბავს, რომელსაც არავითარი ინტერესი არ გააჩნია, ჯარის შემართებას ავნოს ან რუსებს ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს.

ზოგიერთი დასავლური წყაროს თანახმად, ასეთი გასაიდუმლოება კიევის მხრიდან ინფორმაციის დანაწევრების შედეგიცაა, რაც მიმდინარე ინფორმაციული ომის ნაწილია და თავიდანვე მოსალოდნელი იყო. Le Monde-ის ინფორმაციით, ვოლოდიმირ ზელენსკის მთავრობა თავისი ჯარების მდგომარეობის შესახებ მოკავშირეებსაც კი ნაწილობრივ ინფორმაციას აძლევს. ფრანგული სამხედრო წყაროების მიხედვით, უკრაინელთა მხარეს მინიმუმ 15 ათასი კაცია დაღუპული, რაც დაახლოებით იმდენივეა, რაც რუსების მხარეს. მართალია, ორივე ბანაკისთვის ეს კოლოსალური დანაკარგია, მაგრამ შეესაბამება მოქმედი ჯარების მასშტაბს: დაახლოებით 145 ათასი სამხედრო უკრაინის მხარეს და 160 ათასი რუსულ მხარეს. 16 მაისს, ბრიუსელში შეხვედრისას, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ აღიარა, რომ კიევის არმია ამჟამად დონბასში დღეში 60-100 ჯარისკაცს კარგავს, რასაც უნდა დავუმატოთ საშუალოდ 400 დაჭრილი. გარდაცვლილებს შორის უკრაინელები, რუსების მსგავსად, მინიმუმ, ოც გენერალსა და დიდი შენაერთების მეთაურებს გლოვობენ. შედარებისთვის: საბჭოთა არმიამ ავღანეთის ომში 15 ათასი ჯარისკაცი დაკარგა, რამაც მთელ ქვეყანას ტრავმა მიაყენა და მოსკოვს თამაშიდან გასვლა აიძულა. თუმცა ის ომი ათ წელიწადს გაგრძელდა (1979-1989 წწ).

მაღალი ინტენსივობის წვრთნა - გადამწყვეტი ფაქტორი

გარდა ფრონტზე მყოფთა რიცხოვნობისა, უკრაინელებს უპირატესობა კიდევ ერთმა ფაქტორმა მისცა - მათ, წლებია, ომის სინამდვილეს თვალი გაუსწორეს დონბასის ფრონტზე, სადაც 2014 წლიდან ებრძვიან რუს სეპარატისტებს. რვა წლის შემდეგ კიევის მიერ გამოყვანილ ჯარისკაცთა უმრავლესობას ომში ბევი უკვე ნაცადი ჰქონდა. ამის საპირისპიროდ, რუსულ არმიას, რომლის ორი მესამედიც საკონტრაქტო ჯარია და მათში ხშირად დიდი ხნის გაწვეული კონტინგენტია, ერთი მესამედი კი ახალწვეული, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ბევრი შანსი არ ჰქონია, თუმცა ჯარის მცირე ნაწილი 2014 წლის ივლის-აგვისტოში და 2015 წლის იანვარ-თებერვალში დონბასში ომობდა. ექსპერტების შეფასებით, მართალია, რუსები ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს ატარებენ - სადაც 10-დან 100 ათასამდე სამხედრო იყრის თავს - უმეტესწილად ეს ძალის დემონსტრაციას წარმოადგენს და არა ნამდვილ, მაღალი ინტენსივობის წვრთნას. გასულ წლებში უკრაინელ ჯარისკაცებს მალულად, თუმცა ეფექტურად წვრთნიდნენ დასავლელები. Wall Street Journal-ის თანახმად, 2014 წლიდან მოყოლებული წელიწადში 10 ათასი უკრაინელი ჯარისკაცი ნატოს წევრ ქვეყანაში გადიოდა წვრთნას. როგორც 12 მაისს აშშ-ის ჯარების შტაბის უფროსმა ჯეიმს მაკკონვილმა წარმომადგენელთა პალატის წინაშე განაცხადა, უკრაინული ბრიგადების დაახლოებით 75%-მა მიიღო მონაწილეობა აშშ-ის მსხვილმასშტაბიან საწვრთნელ ვარჯიშებში. მხოლოდ 2021 წელს 21 ათასმა უკრაინელმა მიიღო მონაწილეობა აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, პოლონეთისა და რუმინეთის საერთო წვრთნებში. სამხედრო ექსპერტების თანახმად, ამ წვრთნებით აიხსნება, თუ რაოდენ იოლად დაიწყეს უკრაინელებმა დასავლეთის მიერ გადაცემული ნატოს სტანდარტების იარაღის გამოყენება მაშინ, როცა მათი არსენალი მნიშვნელოვანწილად საბჭოთა წარმომავლობის მასალისგან შედგება.

ოპერაციების ცენტრალიზებული მართვა - გადასახედი სქემა

მაშინ, როცა დიდი დასავლური ქვეყნების უმეტესობა ოპერაციების მართვის თვალსაზრისით შედარებით ცენტრალიზებულია, ხოლო ბრიგადების დონეზე, მაქსიმუმ, გაფანტული - რომელთა შემადგენლობა სხვადასხვა არმიაში 3 ათასიდან 7 ათას კაცამდე მერყეობს - უკრაინულმა მხარემ მართვის ამ სტილის მინუსები გამოავლინა და აქცენტი გადაიტანა მეთაურობის უფრო მოქნილ მოწყობაზე. ეს გაკვეთილი განსაკუთრებით მწარედ რუსეთმა ომის პირველი სამი თვის განმავლობაში იწვნია, როცა ცენტრალიზებამ პიკს მიაღწია და ავტორიტარულ მართვის სისტემად ტრანსფორმირდა. ამას დაემატა იერარქიის ეშელონებს შორის ნდობის დეფიციტი და საბჭოთა ტრადიციის მემკვიდრეობა - ოპერაციების ლამის მათემატიკური დაგეგმვა.

ბევრი ექსპერტის დაკვირვებით, რუსეთის ამგვარი ცენტრალიზება ძალიან ეფექტური გამოდგა ომის წინა, „სტრატეგიულ“ ფაზაში კიბეროპერაციების, სუბვერსიისა და დეზინფორმაციის წარმოებაში. „ვფიქრობდით, რომ რუსები ამ სიმარჯვეს ომის დაწყების შემდეგაც შეინარჩუნებდნენ“, - აღნიშნავს ერთ-ერთი სამხედრო წყარო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს მოდელი ინიციატივას ართმევს ველზე განთავსებულ დანაყოფებს, რომლებიც საფრთხეს აწყდებიან. უკრაინელთა მხარეს, თუ სარდლობის ცენტრალური ეშელონი ინარჩუნებს კონტროლს დაზვერვის ინფორმაციის გავრცელებასა და მთავარ დირექტივებზე, ბრიგადებს, გარკვეულ ზონებში, დიდი ავტონომია აქვთ.

ერთ-ერთი დასავლური წყაროს შეფასებით, „იერარქიის ვერტიკალურ სისტემას უამრავი პლუსი აქვს, თუმცა გასათვალისწინებელია ის, რაც უკრაინელებმა ქნეს, რომ ოპერაციის ზოგიერთი ასპექტი მტერთან პირდაპირ კონტაქტში მყოფ ეშელონს გადაეცეს, მაგალითად, ინფორმაციული და კიბერტექნოლოგიები“. კონფლიქტის პირველმა კვირებმა აჩვენა ასევე ისიც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უნტეროფიცრების კორპუსი, რომელიც რუსეთის არმიას - სადაც ოფიცრები ჭარბი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი - ფაქტობრივად, არ ჰყავს. ამ დროს კი უკრაინის არმია უნტერ-ოფიცრების დიდი წილით გამოირჩევა - ახალგაზრდების და ველთან ახლოს მყოფების. სპეციალისტების თანახმად, ნაწილობრივ ამ დიქოტომიით აიხსნება კიევის დაპყრობის კრახი, როცა რუსული ჯარი მაღალი იერარქიის ბრძანების მოლოდინში პარალიზებული დარჩა, უკრაინელები კი უფრო მოძრავები იყვნენ და ადგილზე მუდამ ცვალებად დაბრკოლებებთან ადაპტირდებოდნენ.

ლოჯისტიკური ნაკადი - გამოწვევა, რომლის უგულებელყოფაც აღარ შეიძლება

თუ რუსეთი ომის დაწყების შემდეგ წარუმატებლობას წააწყდა, დიდწილად მარაგების შევსების უვარგისი მართვის ბრალია. ამას სამხედრო ენაზე ზურგის ფრონტს ან „მატარებელს“ ეძახიან. ამ დანაყოფებს ხშირად სათანადოდ არ აფასებენ, თუმცა უკრაინამ გამოამჟღავნა მათი მნიშვნელობა ხანგრძლივ კონფლიქტში. სჯეროდათ რა, რომ ომი ცოტა ხანს გაგრძელდებოდა, როგორც ჩანს, რუსებმა ზურგი ახალწვეულებს, გამოუცდელ სამხედროებს მიანდეს. გარდა ამისა, ეს კოლონები ცუდად იყო დაცული და იოლი სამიზნე გახდა. ამის საპირისპიროდ, უკრაინელებს გაფანტული ლოჯისტიკა უმაგრებდა ზურგს. „სამომავლოდ უნდა დავფიქრდეთ, რომ მინიმალური ლოჯისტიკური ხელწერა გვქონდეს“, - აღნიშნავს ერთი ფრანგი ოფიცერი. გასაგებად რომ ვთქვათ: ადგილზე მარაგები რაც შეიძლება შეუმჩნევლად უნდა ივსებოდეს.

რუსებსა და უკრაინელებს შორის ფრონტის ხაზის დონბასში, ქვეყნის აღმოსავლეთით გავლება უკრაინელებისთვის, სხვათა შორის, სულაც არაა კარგი ამბავი. ეს ხაზი ლოჯისტიკური თვალსაზრისით უკრაინულ ჯარს აიძულებს, იარაღის მისაწოდებლად და დანაყოფების გასაგზავნად, ასევე როტაციისთვის, დაჭრილთა ევაკუაციისა და ეკიპირების შენახვისთვის გრძელ, მოშიშვლებულ გზაზე იაროს. დასავლელები არ შემცდარან: ბოლო, რაც მძიმე ტექნიკიდან გადასცეს, იყო ჯავშანმანქანები, განსაკუთრებით ჯარისკაცების ჯავშანგადამზიდები და ვერტმფრენები, რომლებსაც ჯარისკაცების ტრანსპორტირებაც შეუძლია და იარაღისაც. საფრანგეთის სამხედრო შტაბის თანახმად, „დღეს მნიშვნელოვანია, რომ უკრაინელებს ზურგის გამაგრების უნარი ჰქონდეთ. ეს ლოჯისტიკური და ადამიანური გამოწვევაა“.

კონვენციური იარაღი უნდა დაბრუნდეს

გასულ წლებში სამხედრო ძალებს შორის სტრატეგიული შეჯიბრის აჩქარებით ისინი უფრო და უფრო დახვეწილ იარაღს დაეუფლნენ, უკრაინის კონფლიქტი კი აჩვენებს, რომ მაღალი ინტენსივობის ომი მნიშვნელოვანწილად სახმელეთო ბრძოლებით მიმდინარეობს კონვენციური და ნაკლებად დახვეწილი იარაღით. რუსების მძიმე საშუალებების პირისპირ, რაკეტების მოძრავმა გამშვებებმა (ამერიკული ჯაველინები, ბრიტანულ-შვედური NLAW და ა.შ.) თავისი სიტყვა თქვეს.

ზოგიერთის შეფასებით, დასავლელებს სხვა გზა არ ჰქონდათ გარდა იმისა, რომ გადაეხედათ თავიანთი იარაღისთვის, რადგანაც მაღალი ინტენსივობის ომი ბევრ საბრძოლო მასალას მოითხოვს.

როცა Le Monde-მ აპრილის ბოლოს ფრანგული ჯარის შესახებ ჰკითხა, ჯარის ყოფილმა მინისტრმა, ფლორანს პარლიმ თავად თქვა: „უნდა გამოვნახოთ სწორი ბალანსი ძალიან მაღალ ტექნოლოგიებსა და უბრალო აღჭურვილობას შორის. რა თქმა უნდა, მაღალ ტექნოლოგიებზე უარი არ უნდა ვთქვათ, თუმცა ეს დოზირების საკითხია“.

კერძო სატელიტური მოწყობილობები - ახალი აქტორი ბრძოლის ველზე

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მარტის შუაში Space X-ის დამფუძნებელ ილონ მასკის მიერ უკრაინაში Starlink-ის ყუთების გაგზავნა სამხედრო თვალსაზრისით გარდამტეხი მოვლენაა.

უკრაინელებისთვის იმის საშუალების მიცემით, რომ ტრადიციულ სატელეფონო ან ინტერნეტის ქსელებს, ან სახელმწიფო სატელიტურ საშუალებებს აღარ ეყრდნობოდნენ - რომელთა შესაძლებლობებიც შეზღუდული და მოშიშვლებულია - ილონ მასკმა ომის თეატრში ტრადიციული, დაცული კომუნიკაციების სიმყარე მოარღვია და უკრაინელებს მოულოდნელი უნარი შესძინა: რუსეთის კოსმოსური სააგენტო „როსკოსმოსის“ უფროსის თანახმად, მაისის დასაწყისში ქსელს ყოველდღიურად 150 ათასი ადამიანი იყენებდა. მის მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ Starlink-ი, მინიმუმ, ერთხელ უკვე იყო რუსული კიბერთავდასხმის სამიზნე, თუმცა Space X-ის თანახმად, ამერიკული კომპანია მას წარმატებით გაუმკლავდა.

„შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მომავალში ჯარისკაცებს ორმაგი შეიარაღება ექნებათ: ცეცხლსასროლი და დაცული სმარტფონი“, - ვარაუდობს სახმელეთო არმიის ოფიცერი, რომელიც კერძო სატელიტებს ომში მოხერხებულობის ფაქტორად განიხილავს.

რუსული S-400 - შეიარაღება, რომელიც საჰაერო უპირატესობის გარანტია არაა

ომის დაწყებამდე სპეციალისტები კიევთან შედარებით მოსკოვის საჰაერო უპირატესობაზე ერთხმად თანხმდებოდნენ. ამბობდნენ, რომ სწორედ მათი S-400-ების - მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ანტისაჰაერო და ანტისარაკეტო სისტემის - წყალობით, რუსეთი ცის ბატონ-პატრონი იქნებოდა. განა არაერთი რეგიონული ძალა, მაგალითად, თურქეთი და ინდოეთი, არ ცდილობდა ამ სისტემის შეძენას თუნდაც ამერიკის გადაკიდების ფონზე, რომელიც მნიშვნელოვანი პარტნიორებისგან ამგვარი გარიგების წინააღმდეგი იყო? სამი თვის შემდეგ დარწმუნებით აღარაფრის თქმა აღარ შეიძლება. მართალია, ზოგიერთი ჰიპოთეზა S-400-ის ეფექტურობას ეჭვქვეშ აყენებს ან, მინიმუმ, მიუთითებს რუსი ჯარისკაცების არასათანადო წვრთნაზე - ექსპერტები, რომელთაც ჩვენ დავეკითხეთ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ S-400 თავისთავად საკმარისი არაა უკრაინისხელა ქვეყნის ცაზე „წყალგამძლე საპნის ბუშტის“ წარმოქმნით. მათი უმეტესობა რუსეთშია განლაგებული, დონბასის საზღვრის გასწვრივ, დანარჩენი კი ბელარუსში. ძალიან შორია საიმისოდ, რომ ქვეყნის დასავლეთი და სამხრეთი მთლიანად დაფაროს. გარდა ამისა, S-400, ძირითადად, საშუალო ან მაღალი სიმაღლიდან განხორციელებული თავდასხმისგან იცავს. შემთხვევითი არაა, რომ უკრაინელები მიეჩვივნენ საჰაერო ოპერაციების ძალიან დაბალ სიმაღლეზე წარმართვას, ზოგჯერ მიწიდან მხოლოდ ოც მეტრზეც კი. ამ დეფექტზე ისიც მიანიშნებს, რომ რუსებმა დონბასში S-400-ის დამატებითი სისტემები შეიტანეს, როგორიც „პანცირია“, რათა დაბალი ან საშუალო სიმაღლეებიდან განხორციელებული შეტევებისგან თავი დაეცვათ. ეს უკრაინელებს მაინც არ აკავებს, მოულოდნელი საჰაერო თავდასხმები სცადონ.

„მათი პილოტები, ძალიან კარგად გაწვრთნილები და გადარჩენისთვის ბრძოლაში ჩართულები, გაცილებით უფრო გაბედულნი არიან. ყოველ ჯერზე, როცა რაღაცას ცდილობენ, კონკრეტული ეფექტის მიღწევას ცდილობენ, განსაკუთრებით მედიის ხილვადობის მხრივ“, - აცხადებს ერთ-ერთი ფრანგი ავიატორი. ამის საპირისპიროდ, რუსები მეტ სიფრთხილეს იჩენენ, იციან რა, რომ საჰაერო თავდაცვის სისტემები კიევსაც აქვს: აშშ-მა გაამჟღავნა, რომ ომის დაწყების შემდეგ უკრაინას „სტინგერის“ 1400 რაკეტა მიაწოდა. ამ სირთულეებთან გასამკლავებლად რუსები გადაწყობას ცდილობენ. უკრაინული უწყებების თანახმად, მოსკოვმა ბელგოროდის ოლქში, ხარკოვიდან დაახლოებით 80 კმ-ში, Mi-24 და Mi-8 ტიპის თითქმის 40 თავდამსხმელ და სატრანსპორტო ვერტმფრენს მოუყარა თავი. იმავენაირად, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მოსკოვის მოკავშირე ბელარუსმა, გომელის რეგიონში საჰაერო თავდაცვის ახალი სისტემები და ელექტრონული საომარი მოწყობილობები გადაიტანა. ბოლოს კი რუსებმა იქ ისკანდერ-M-ის გასაშვები რვა მოწყობილობა და ექვსი თვითმფრინავი განათავსეს.

ზღვის დაუფლება - რთული სტრატეგია

რამდენადაც 2014 წელს, ყირიმის ანექსიისას, უკრაინული ფლოტი თითქმის მთლიანად განადგურდა, ამჟამინდელი ომის პირველ სამ თვეში ფლოტებისა და საბრძოლო

იხ. მე-7 გვ.

წარმატებული მუსიკოსი, რომელიც ბავშვობიდან მსახიობობაზე ოცნებობდა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარი ბათუმელი მუსიკოსი კონსტანტინე კვასხვაძეა. ის პროფესიით მეზღვაურია, თუმცა ცხოვრება სულ სხვა სფეროს დაუკავშირა. უკვე 10 წელია, რაც მუსიკას წერს, ცეკვასაც დიდ როლს ანიჭებს. იგი ხშირადაა ჩართული სხვადასხვა ჰიპ-ჰოპ პროექტში და მეგობრებთან ერთად, მუსიკალური კლიპიც გამოუშვა.

- კონსტანტინე, როგორი ბავშვი იყავით?

- აქტიური და ემოციური. აქტიურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ მუდამ სიახლეებს ვეძებდი. ჩართული ვიყავი სხვადასხვა ღონისძიებაში... მახსოვს, მონაწილეობა მივიღე მოკლემეტრაჟიან ფილმში „შურისძიება“, რომელიც მეგობრებმა სამოყვარულო კამერით გადავიღეთ, გაზეთ „აჭარაშიც“ მოვხვდით... აქედან დაიწყო ჩემი პირველი ნაბიჯები ხელოვნებისკენ. შემდეგი გამოწვევა იყო ცეკვა. მინდოდა, მეც შემეგრძნო ის ემოცია, რასაც მოცეკვავეები სხეულის ენით გადმოგვცემდნენ. დავიწყე სიარული ქართულ ცეკვაზე. ამან საშუალება მომცა, უკეთ შემეგრძნო საკუთარი სხეული, აღმომეჩინა საკუთარი თავი. ცეკვით შემიძლია ჩემი სიხარულის, სევდის, გლოვის გამოხატვაც. ვთვლი, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ფლობ თუ არა ილეთებს, ამას თვითონ სხეული გკარნახობს. იმდენად გატაცებული ვიყავი ცეკვით, რომ ვიდეოროლებიდან შევისწავლე ჰიპ-ჰოპი. გადავწყვიტე, შევსულიყავი ერთ-ერთ ჰიპ-ჰოპ ჯგუფში და მალევე გავხდი სოლისტი.

- ბავშვობის ყველაზე დაუვიწყარი მოგონება.

- ის მომენტები მახსენდება მძაფრად, როდესაც მე და ბაბუა აგარაკზე მივდიოდით, სადაც ზღვისა და ტყის საოცარი სინთეზია. მახსოვს, როგორ მიყვებოდა ბაბუა ერთმანეთისგან განსხვავებული ჯიშის ხეებზე... ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი პერიოდი.

- რა არის თქვენთვის მუსიკა?

- როცა ცეკვას დავეუფლე, მივხვდი, რომ ცეკვა და მუსიკა ფიზიკური, გონებრივი და ესთეტიკური ქმედების ერთობლიობას ქმნიდა. ის ემოციებს უფრო გვიმძაფრებს. მუსიკა არ არის მხოლოდ გასართობი საშუალება, ეს არის ჩვენი სხეულის და გონების ანტიდეპრესანტი. მუსიკას მოაქვს ემოცია. დროთა განმავლობაში, აღარ მაკმაყოფილებდა მხოლოდ მისი მოსმენა, მომინდა, უფრო მეტად შემეგრძნო იგი და გადავწყვიტე, უფრო ღრმა კავშირი დამემყარებინა მუსიკასთან. გატაცებული ვიყავი ელექტრონული მუსიკით, თითქოს სიცარიელეს ვგრძნობდი მის გარეშე, როდესაც ვრთავდი, დადებითი ენერგეტიკით ვივსებოდი... დავიწყე მუსიკის წერა. პროგრამულად ყველა ინსტრუმენტი ერთად იყო თავმოყრილი, რამაც საქმე გამიადვილა. მუსიკა ბგერის სილამაზის ხელოვნებაა, ის იმაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში, ვიდრე წარმოგვიდგენია. ეს არის ჰანგები, რომელიც დედამიწას აცოცხლებს. ის მხდის უფრო ინოვაციურს, სრულიად სხვა სამყაროში გადავყავარ. გაგიკვირდებათ და, ჩემი ყოველდღიური პრობლემა მუსიკის წერით გადამაქვს. მისი მეშვეობით ჩემი ტვინი ქაოსურ სიტუაციაშიც მარტივად ახერხებს კონცენტრირებას.

- რამდენი ხანია, რაც ამ საქმიანობით ხართ დაკავებული?

- მუსიკას უკვე 10 წელია ვწერ და ამ პერიოდში ძალიან ბევრი კონცერტიც მქონდა. თითოეული ჩემთვის საპასუხისმგებლო იყო. ის ენერგეტიკა, რაც ხალხისგან მოდის, ჩემთვის ინსპირაციის წყაროა და განვითარებაში მიწყობს ხელს.

- რაღაც პერიოდი ბენდიც გყავდათ.

- დიახ, ერთ-ერთ კლუბში კონცერტი მქონდა, სადაც დავიწყე თუ არა დაკვრა, დაუგეგმავად, ტამტამისტები შემომიერთდნენ. ხალხისგან დიდი ოვაცია წამოვიდა და გადავწყიტეთ, ბენდი შეგვექმნა. საკმაოდ კარგ პროექტზე ვმუშაობდით და დიდი გეგმებიც გვქონდა, მაგრამ... ბენდი დაიშალა. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი სხვადასხვა გზის მიუხედავად, დავუბრუნდებით ბენდს, რომელსაც ვფიქრობ, დიდი მომავალი ექნება.

- როცა მუსიკას ქმნით, მელოდია წინასწარ ჩაგესმით გონებაში?

- რა თქმა უნდა, წინასწარ ჩამესმის, რასაც უნდა ვაკეთებდე, გონებაში მუდამ ვწერ მუსიკას, საბოლოოდ კი ამას ვაჟღერებ მუსიკალური ინსტრუმენტებით.

- რამდენად სასიამოვნო იყო კლიპზე მუშაობის პროცესი, გაამართლა მოლოდინმა?

- კლიპზე მუშაობა ძალიან საპასუხისმგებლო იყო ჩემთვის, დიდი გრძნობა და ემოცია ჩავდე მასში. ვფიქრობ, ეს კლიპი არ გამოვიდოდა, რომ არა ჩემი მეგობრები და მათი მხარდაჭერა. ყველა მაქსიმალურად იყო ჩართული იმაში, რომ კლიპი კარგი და ხარისხიანი გამოსულიყო. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი მათ გვერდში დგომისთვის. მოლოდინმა გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ დიდად თავი არ გამომიჩენია მისი გაპიარებით.

- რომ არ ყოფილიყავით ამ სფეროში, რას დაუკავშირებდით ცხოვრებას?

- რომ არა მუსიკა, ცხოვრებას ალბათ, თეატრს დავუკავშირებდი, მსახიობი გავხდებოდი. ეს სფერო ჩემთვის ასევე ღირებული და საინტერესოა. სხვათა შორის, ბავშვობიდან მინდოდა მსახიობობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ოჯახის წევრებმა არ მომცეს იმის საშუალება, რომ ჩემით ამერჩია სასურველი პროფესია.

- პანდემიის პერიოდმა რამდენად იმოქმედა თქვენს შემოქმედებაზე?

- პანდემიამ, ისევე როგორც ყველას, ხელი შემიშალა ადამიანებთან ურთიერთობაში, ვეღარ ვუკრავდი კლუბებში, რომლებიც რეგულაციების გამო, დაიკეტა. მეორე მხრივ, გავიზარდე მუსიკალურად, რადგან ძირითად დროს მუსიკის წერაში ვატარებდი.

- ამჟამად რას საქმიანობთ?

- ვმუშაობ კომპანია „როვეში“ მენეჯერის პოზიციაზე და პარალელურად, რა თქმა უნდა, მუსიკით ვარ დაკავებული.

- რა გეგმები გაქვთ?

- ახლო მომავალში ისევ ვგეგმავ კლიპის გადაღებას, სცენარი უკვე დაწერილია. წინ საინტერესო კლიპი გელით.

> *„კლიპზე მუშაობა ძალიან საპასუხისმგებლო იყო ჩემთვის, დიდი გრძნობა და ემოცია ჩავდე მასში. ვფიქრობ, ეს კლიპი არ გამოვიდოდა, რომ არა ჩემი მეგობრები და მათი მხარდაჭერა. ყველა მაქსიმალურად იყო ჩართული იმაში, რომ კლიპი კარგი და ხარისხიანი გამოსულიყო. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი მათ გვერდში დგომისთვის. მოლოდინმა გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ დიდად თავი არ გამომიჩენია მისი გაპიარებით*

აჭარის მთიანეთში

ხულოელებმა ოზურგეთში წარმატებით იასპარეზეს

ოთნე ცაბაძე 27 48 93

ხულოს სასპორტო სკოლის აღსაზრდელები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბოლო პერიოდში წარმატებით ასპარეზობენ. ამ დღეებში მრავალ მონაგარს კიდევ 4 ტიტული შემატეს. ქალაქ ოზურგეთის კლუბ „ფალავანში“ ჩატარდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწეების შაქრო ტუღუშისა და იური ხომერიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2008-2010 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ხულოს გუნდიდან სხვადასხვა წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ომარ ბერიძემ, საბა ბოლქვაძემ, გიორგი ქედელიძემ. სამივე მათგანის მწვრთნელი მალხაზ სოლომონიძეა.

32-კილოგრამიან წონით კატეგორიაში მეორე ადგილს დასჯერდა ვალერი ცეცხლაძე (მწვრთნელი ავთანდილ აბულაძე).

- ხულოელ სპორტსმენებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა თანადგომა არ აკლია, რაც შედეგებშიც აისახა, - გვითხრა მალხაზ სოლომონიძემ.

მეორე ადგილი და საპატიო დიპლომები

ოთნე ცაბაძე 27 48 93

აჭარის მთიანეთის სოფლებს ისევ შემორჩნენ ხელოსნები, რომლებიც ხელსაქმით თავიანთ ოჯახებს ეკონომიკურად აძლიერებენ. სოფელ ბრილში ეთერ ზოიძისა და მაყვალა ვანაძის ნაქსოვ შალის წინდებს, ნაქარგებს ბადალი არ მოეძებნება. ხანდაზმულებს უკვე ახალგაზრდა ხელოსნები გუგული ირემაძე და მზიური ბოლქვაძე ენაცვლებიან, ისინი ფარდაგებსაც ქსოვენ.

თანასოფლელი ხელმარჯვეების საქმიანობა თვალთახედვიდან არ გამოეპარათ ბრილის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ გუგული ბოლქვაძეს, საჯარო სკოლის მოსწავლეებს ვიტა ბერიძესა და ანასტასია ზოიძეს. მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით თანასოფლელი ხელმარჯვეების საქმიანობას რამდენიმე დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ, რაც 75-ე ეროვნულ-კვლევით სასწავლო კონფერენციაზე თემის «როგორ ვაქციოთ ხელსაქმე სოფლის ეკონომიკურ წყაროდ?» წარდგენით დაასრულეს.

50-ზე მეტ თემას შორის ბრილელი პედაგოგისა და მოსწავლეების ერთობლივმა ნაშრომმა მეორე ადგილი დაიკავა. კონფერენცია ელექტრონულად ჩატარდა. ორგანიზატორებმა გუგული ბოლქვაძე, ვიტა ბერიძე და ანასტასია ზოიძე თბილისში მიიწვიეს. მოსწავლეებს დიპლომები და საჩუქრები საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

ჩირუხში პირუტყვის გადარეკვა დაიწყეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

გაზაფხულის ბოლო დღეების მზიანმა ამინდებმა გააქარწყლა მითქმა-მოთქმა, რომ აჭარა-შავშეთის, მესხეთის, აჭარა-გურიის ქედების კალთებზე თოვლი ივნისის შუა რიცხვებამდე არ დადნებოდა და პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის დრო 15-20 დღით გადავადდებოდა.

აჭარა-შავშეთის ქედის კალთებზე არსებულ კვესაურის მთაზე პირველად ქედის მუნიციპალიტეტის დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის მეცხოველეებმა გადარეკეს პირუტყვი.

გუშინ და გუშინწინ მთა ჩირუხში გავიდნენ მარეთის ხეობის უჩამბის, დღვანის, შუბნის, ოლადაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების მეცხოველეები.

შუახევის მუნიციპალიტეტის, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით შუბანი-ჩირუხი-ჯინალის საავტომობილო გზის 15-კილომეტრიანი მონაკვეთი ზამთრის ნარჩენებისგან გაიწმინდა. ახლა ჩირუხში ყველა მარკის ტრანსპორტით მიმოსვლა შესაძლებელია.

სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა გრძელდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტში სოფლად ბაგა-ბაღების გახსნის პროცესი რომ დაიწყო, მახალაკიძეები პირველ ხუთეულში იყო. საკმაოდ კარგი ტერიტორია შეარჩიეს და პატარები და მათი აღმზრდელები ახლად აგებულ ხის შენობაში შეასახლეს. სამრეცხაოში, სველ წერტილში ხის იატაკი მალე დალპა, ხის კედლებიც უსახურად გამოიყურებოდა.

შარშან შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ 240 ათასი ლარი გამოჰყო თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლამდელი დაწესებულების ასაშენებლად. საკონკურსო შერჩევის შემდეგ სამუშაოები შპს «არსიანმა» დაიწყო. რიგი სამუშაოები ხარისხიანად შეასრულეს, მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე აღარ მიიყვანეს.

შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ წელსაც 230 ათასი ლარის მობილიზება შეძლო. სამუშაოები შპს «მშენებელი - 2020»-მა ითავა. როგორც კი შესაბამისი ამინდები დადგა, მშენებლებმა ობიექტს მიაკითხეს. შემოზიდულია სამშენებლო მასალაც. სამუშაოების მიმდინარეობას შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიეშვილი, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე გაეცნენ.

- არსებული მდგომარეობა იმედს გვაძლევს, რომ მშენებელი ფირმის წარმომადგენლები სამუშაოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაასრულებენ. მახალაკიძეების გარდა სკოლამდელ დაწესებულებას სოფელ დღვანშიც ვაშენებთ. ორივე მათგანი წლის ბოლომდე ექსპლოატაციაში შევა, - გვითხრა მირიან აბაშიძემ.

„უკვე ბევრნი ვართ, ვისაც შეუძლია სოფლის გადარჩენა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

პაატა აბაშიძე *კრებულების „წერტილის შემდეგ საკითხავი“ და „იქნებ“ ავტორია. იგი ჩვენი სტუმარია.*

- თუ გამოხმაურებიხართ რუსულ სისასტიკეს უკრაინაში?

- ერთი ლექსით: „გმინავს ტრამალი და ბავშვებმა ტყვიით ნაწვიმარ ქუჩებში ტიტვლად გაირბინეს და ვერ ხვდებიან. მსხვილი კალიბრით ნუ გაუხსნით ცეცხლს ამ ტანწვრილა ბავშვებს, რომ ქარში, სულ სუსტ ქარშიც იმალებიან. მარიუპოლში თოჯინები უკვე მოგუდეს და გაზაფხულიც არ მოსულა და ზამთარია. მარიუპოლში ნუ გაგზავნით საკვებ პროდუქტებს ბავშვებისთვის, რომ იქ ბავშვები აღარც არიან. არ შეიძლება დაავიწყდე, ან (და) გამორჩე იქაურ ტყვიებს, მოგაგნებენ, მერე პირწმინდად... და შენც ასეთ დროს ღმერთო, დროა, იქნებ გამოჩნდე! გამოჩნდი, მაგრამ ცოტა ფრთხილად - ტყვიები ცვივა!“

- რა ასაკიდან წერთ ლექსებს?

- 14 წლიდან, თუმცა, მაშინ უფრო ვერთობოდი, სერიოზულად არ აღვიქვამდი. მერე მუზამ ამიყოლია და...

- რომელ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება თქვენი ლექსები?

- „ჭოროხი“, „ხორნაბუჯი“, „ლიტერატურული გაზეთი“, „აფინაჟი“...

- მშობლების როლი - თქვენს შემოქმედებით გზაზე?

- მამა 17 წლის წინ გარდაიცვალა. იგი ამაყობდა ჩემით. მახსოვს, პაპანაქება სიცხეში, ყანიდან 5-6 კილომეტრი გამოიარა ფეხით სკოლამდე, ჩემმა შვილმა ლექსი უნდა წაიკითხოს სცენაზეო. ვერ მომისწრო, მაგრამ განმეორებით მათქმევინეს, პატივი დასდეს ოფლმოუწურავ მამას... თვალდახუჭული ვამბობდი ლექსს, არ მინდოდა დამენახა, როგორ ერეოდა ცრემლი ოფლში, მგძნობიარე კაცი იყო.

- სპეციალობით ფილოლოგი, 10 წელია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევით, გადაცემა „ჩვენი დრო“ მიგყავდათ TV12-ზე... ახალგაზრდობა, ძირითადად, სოფლებს ტოვებს, თქვენ - არა. რა არის ამის მიზეზი?

- არსად გავიშვები! (იცინის) იცით რა, მე - ერთი კაცი, სოფელს ვერ გადავარჩენ, ვერც სხვა - ერთი, მაგრამ უკვე მრავლობით რიცხვში ვართ, ვისაც შეუძლია სოფლის გადარჩენა, იმ ხავსის აგლეჯა სახლის კედლებიდან, რომელიც დღეს-ხვალ ამოვა. ვფიქრობ, საერთო საზრუნავია ეს. მე ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ამ მხრივ.

> ,, *უკვე მრავლობით რიცხვში ვართ, ვისაც შეუძლია სოფლის გადარჩენა, იმ ხავსის აგლეჯა სახლის კედლებიდან, რომელიც დღეს-ხვალ ამოვა. ვფიქრობ, საერთო საზრუნავია ეს. მე ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ამ მხრივ*

- გარკვეული დროა, რაც სკოლის დირექტორის პოზიციაზე ხართ. რომელია უკეთესი - იყო კარგი პედაგოგი თუ ანგარიშგასაწევი მენეჯერი?

- საქმე ისაა, რომ პროფესიებით არ ვიბადებით. ბავშვობიდანვე ვიძენთ პასუხისმგებლობის გრძნობას. აქედან გამომდინარე, მარტივია ყველა საქმე, თუ გიყვარს და გიზიდავს. ვფიქრობ, კარგად ვართმევ თავს საქმეს. მიყვარს ის ადგილი და გარემო, სადაც ვარ.

- რას სთავაზობთ ამჯერად მკითხველს?

- ლექსების მხრივ, ბევრს ვერაფერს, თუ არ ჩავთვლით, რომ ვმუშაობ რომანზე. ვცდილობ, კრიტიკულად მივუდგე, გავაშალაშინო. აღმოვაჩენ, რომ არცთუ ისე ცუდად წერს ეს კაცი (იცინის).

- ღონისძიებებზე საკუთარ ლექსებს კითხულობთ?

- ნუ გაგიკვირდებათ და მხოლოდ გალაკტიონის და ოთარ ჭილაძის რამდენიმე ლექსი ვიცი ზეპირად, ამ პოეტების ლექსებს ვკითხულობ დიდი სიამოვნებით. თუ მთხოვენ, იმ შემთხვევაში - ჩემსასაც.

- ახალგაზრდებს რა ადგილი უკავიათ თქვენს შემოქმედებაში?

- აჭარის მთიანეთში მომუშავე ახალგაზრდა პოეტს, დედაქალაქში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები ლექსებს გიბეჭდავენ. რას მიგაწეროთ ეს ყურადღება?

- ვფიქრობ, ჩემგან, როგორც პოეტისგან, გულწრფელობას ხედავენ. არ ვამბობ, რომ რასაც ვწერ, არაჩვეულებრივად ვწერ-მეთქი, ეს მკითხველმა უნდა განსაჯოს, მაგრამ ყალბად ან ქულების დასაწერად, ერთხელაც არ ამიღია კალამი ხელში.

- რას იტყვით საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე „ზე-კართან“?

- ეს ძალიან დროული და საჭირო ფესტივალია და ამისთვის მადლობა მის ინიციატორ ვახტანგ ბერიძეს. ბევრ თანამედროვე პოეტსა და მწერალს პირადად გავეცანი. აქამდე თუ ვირტუალურ სივრცეში მქონდა ურთიერთობა, ახლა რეალურადაც ვმეგობრობთ.

- ვინაა თქვენი ლექსების პირველი შემფასებელი?

- ადრე მეუღლეს, ნინოს ვაჩვენებდი ხოლმე. მგონი მოწყინდა... ახლა თუ რამე ახალს დავწერ, მივმალავ, სხვა საქმეზე გადავიტან ყურადღებას, რაღაცით დავკავდები, მერე მივუბრუნდები ამ ახალდაწერილ ლექსს და

- ყველაზე საპატიო ადგილი. გულწრფელად, ადამიანურად განვიცდი, რომ არ ვიცით, რას უმზადებს მათ მომავალი. ჩემს შემოქმედებაში, ძირითადად მინიატურებში, ჭარბობს ახალგაზრდული და ბავშვური სახეები.

- თუ გაიხსენებთ ლექსს, რომელიც დაწერეთ, მაგრამ რიგი მიზეზების გამო არქივში შეინახეთ?

- კი, მახსოვს ასეთი ლექსი... ლექსი, ხშირ შემთხვევაში გაგყიდის.

- შედევრად რომელ ქართულ ნაწარმოებს მიიჩნევთ?

- „დათა თუთაშხიას“, ეს ცხოვრების ფილოსოფიაა.

- როგორ დაიბადა მეორე წიგნი „იქნებ“?

- არაჩვეულებრივი და დიდსულოვანი ქალბატონის ლალი კონცელიძის შემოთავაზებით, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი აჭარის მწერალთა სახლის მთელ შემოქმედებით ჯგუფს. იქ მისვლა სულ მახარებს.

- გულმოსულს თუ დაგიწერიათ ლექსი?

- კი, და ვფიქრობ, კარგი გამოვიდა. მკითხველს რომ მოსწონს, ესაა შეფასების კრიტერიუმი.

- ის, რაც ჭირივით გეზარებათ...

- ტყუილი. ჭირივით კი არა, ჭირზე მეტადაც.

- დაკვეთით თუ დაგიწერიათ?

- ერთხელ დავწერე, დაბადების დღის მისალოცი იყო, ნაძალადევად იკითხებოდა.

- მისაბაძი პიროვნება?

- მამაჩემი.

- მესაიდუმლე?

- მეუღლე.

- საყვარელი ქალაქი?

- წვიმა მიყვარს ძალიან და წვიმიანი ბათუმი. თუმცა მზეც რომ ძალიან მიყვარდეს, მაინც ბათუმი.

- მასწავლებელი, რომელმაც დიდი ამაგი დაგდოთ...

- არაჩვეულებრივი მასწავლებლები მყავდა, ბევრი რამ მასწავლეს, მაგრამ ცხოვრება რომ გაკვეთილს ჩაგიტარებს, ისე ვერცერთი მასწავლებელი ამას ვერ შეძლებს.

- ოჯახური იდილიისთვის რა არის საჭირო?

- გაგება, გაგება და გაგება!

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - აჭარის მთიანეთში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედა

ქედის მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკში დაიწყო. ქედის სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელებმა დირექტორ ირინა დევაძის ხელმძღვანელობით კონცერტი გამართეს. ბავშვებისა და დამსწრეთა მოწონება დაიმსახურეს საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილების შემსრულებლებმა.

ხალხურ საკრავებზე შესრულებულმა მელოდიებმა, ცეკვებმა „ხორუმი“ და „განდაგანა“, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა გიტარის თანხლებით ნამდვილად შექმნეს საზეიმო განწყობა, რომელიც როგორც მოზარდებს, ისე ზრდასრულებს დიდხანს არ დაავიწყდებათ.

ხულო

ხულოს კულტურის ცენტრის ორგანიზებით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა სახის აქტივობა გაიმართა. საბავშვო ბაღის ადმინისტრაციაში პატარებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები შეხვდნენ და საზეიმო ვითარებაში საჩუქრები გადაცეს, მათ შორის წიგნი ,,პირველკლასელთა აკადემია“ .

ხულოს თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე - დაბის ცენტრალურ სკვერში გაიმართა სხვადასხვა აქტივობით გაჯერებული საზეიმო ღონისძიება. ბავშვებს და მათ თანმხლებთ ზეიმი მიულოცეს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ.

ბავშვებს აჩვენეს თოჯინების სპექტაკლი, ზღაპრის გმირები.

გაიმართა სპორტული აქტივობები, ბავშვებს მიეცათ ხატვის საშუალებაც. ღონისძიებები საღამომდე გაგრძელდა.

პარკში მოსულ ბავშვებს და მათ თანმხლებთ ზეიმი მიულოცეს ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

ზეიმის მეორე ნაწილი mickey's house გასართობმა ცენტრმა წაიყვანა. ანიმატორებმა გამართეს სახალისო თამაშები და ცეკვები. მიკი და მინი მაუსმა ბავშვები აიყოლიეს და საინტერესო სანახაობა წარმოადგინეს.

ზეიმის მონაწილეებმა არც სახის მოხატვა და ფოტოსესია დაივიწყეს.

ღონისძიების ფარგლებში ბავშვებს უფასოდ დაურიგდათ ნაყინი.

შუახევი

უკვე მეორე წელია, დაბა შუახევში დღის ცენტრი მოქმედებს. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მისი აღსაზრდელები და 13 მომსახურე პერსონალი შუახეველი ბიზნესმენის, მრავალი ქველმოქმედების მოთავის ლევან მჟავანაძის დაფინანსებით, ბათუმში იმყოფებოდნენ, მოინახულეს ღირსშესანიშნაობანი, დაესწრნენ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს.

დღის მეორე ნახევარში დაბა შუახევში მოპატიჟებულ ბავშვებს საინტერესო ნომრები შესთავაზეს გასართობი ცენტრის ანიმატორებმა. ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

„კარგი მაჩვენებლები გვაქვს“

გუშინ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში განიხილა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ სხდომაზე განაცხადა, კოვიდპანდემიის შოკისა და რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების კარგი მაჩვენებლები გვაქვს.

„სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების, რომელიც ძირითადი ინდიკატორია და გვაჩვენებს, რა სიტუაცია გვაქვს არა მხოლოდ ფისკალური, არამედ მაკროეკონომიკური კუთხით - გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. თითქმის 11 მილიონი ლარით მეტი შემოვიდა და გადასახადებიდან შემოსავლებმა 3 მილიარდ 688 მილიონ 100 ათასი ლარი შეადგინა. იანვარ-მარტში ბიუჯეტის შემოსულობები 4 მილიარდ 826 მილიონ 100 ათასი ლარია“, - აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარემ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზეც გაამახვილა ყურადღება.

მისი თქმით, მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში ბიუჯეტიდან 4 მილიარდ 266 მილიონ 400 ათასი ლარი დაიხარჯა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 93,9%-ია, ანუ 275 მილიონ 900 ათასი ლარით ნაკლები.

ამირან გურიელიძე

კარში – მამარდაშვილით და...

საქართველოსა და ჰიბრალტარის ნაკრებები ერთა ლიგის C დივიზიონის ჯგუფს თბილისში დღეს, 20 საათზე გახსნიან. მათი მეტოქეები ჩრდილოეთ მაკედონია და ბულგარეთიც არიან. თუკი ქართველები გასულ გათამაშებაშიც ამ ლიგაში ასპარეზობდნენ, გიბრალტარელებმა ლიხტენშტაინსა და სან-მარინოს აჯობეს და დაწინაურდნენ. „ჯვაროსნები“ ბოლო 5 მატჩში შესანიშნავად გამოიყურება და 4 გამარჯვება აქვს. ვილი სანიოლის გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მაჟორულ ნოტზე დაასრულა - შვედეთი (2:0) და კოსოვო (2:1) დაამარცხა.

ჰიბრალტარი ფიფას რეიტინგში 203-ე ადგილზეა და ბოლოს სწორედ „ერთა ლიგაზე“ ლიხტენშტაინთან (1:0) გაიმარჯვა. მომდევნო 17 შეხვედრიდან ისინი 12-ში დამარცხდნენ, მათ შორის, მუნდიალის შესარჩევ ათივე დაპირისპირებაში.

სანიოლმა ივნისის თამაშებისთვის 29 ფეხბურთელს უხმო, თუმცა მოქმედ ფეხბურთელებს შორის საუკეთესო ბომბარდირი - თორნიკე ოქრიაშვილი დააკლდა და მისი ჩანაცვლება დასჭირდა. მოსალოდნელია, რომ საქართველოს ნაკრების კარს გიორგი მამარდაშვილი დაიცავს, ხვიჩა კვარაცხელიას კი დასვენების საშუალება მიეცემა.

სავარაუდო შემადგენლობა (3-4-3) კი ასეთია: მამარდაშვილი, კაკაბაძე, კაშია, დვალი, წიტაიშვილი, კვეკვესკირი, აბურჯანია, ჩაკვეტაძე, დავითაშვილი, ზივზივაძე, ყაზაიშვილი.

ამირან გურიელიძე

დასავლეთის დიდი ქვეყნები მაღალი ინტენსივობის კონფლიქტიდან არაერთი გაკვეთილის გამოტანას იწყებენ

მე-4 გვერდიდან

ხომალდების დაპირისპირება არც ყოფილა, თუმცა უკრაინელები ამტკიცებენ, რომ 24 თებერვლის შემდეგ 13 რუსული გემი გაანადგურეს - ძირითადად, პატარები. კონფლიქტის დაწყებამდე უკრაინელებს რამდენიმე საპატრულო ნავი და პირველი კლასის ფრეგატი ჰქონდათ დარჩენილი, თუმცა როცა ეს უკანასკნელი ომის პირველ დღეს ნიკოლაევის პორტში შესაკეთებლად იყო, კიევმა გადაწყვიტა ის თავად ჩაეძირა, რათა რუსებს ხელში არ ჩავარდნოდათ. რაც ბოლო სამი თვე მიმდინარეობს, ძირითადად, სანაპირო, საზღვაო ომია. თუმცა, ისევ და ისევ, ფრანგი საზღვაო ოფიცერი ამბობს, რომ „რუსების ჩავარდნები, რასაც ხმელეთზე ვუყურებდით, ზღვაშიც მეორდებოდა, განსაკუთრებით კი „წვრთნის ნაკლებობა“. იგივე წყარო ამატებს, რომ „კრუიზერ „მოსკვას“ (ცნობილ საბრძოლო ხომალდს, რომელიც უკრაინელებმა ჩაძირეს) არ გააჩნდა რეფლექსები, რომლებსაც ამ დონის ხომალდისგან ელი მისი წყალგამძლეობისთვის. ეს მოიცავს ელექტრონული აღჭურვილობის გამოყენებას, თავდაცვას, რადარებით დაზვერვას, ისევე როგორც სტიქიებთან, ხანძართან ან ფარვატერებთან გამკლავებას“.

მაისის დასაწყისში უკრაინელებმა ასევე მიწიდან გაანადგურეს ორი სწრაფი, ამფიბიური საპატრულო ნავი, სამხედრო სატრანსპორტო გემი და ზოგიერთი წყაროს ცნობით, ელბრუსის ტიპის დამხმარე ხომალდი. ყველაფრის მიუხედავად, ამ ეტაპისთვის რუსები საზღვაო ომში აშკარა უპირატესობას ინარჩუნებენ. ელოდა რა დიდხანს ამ მასშტაბის კონფლიქტს და 24 თებერვლის შეტევამდე კვირების განმავლობაში ნელნელა ზრდიდა შემადგენლობას ყირიმის გარშემო, დღეს მოსკოვი ფაქტობრივად, მთლიანად აკონტროლებს აზოვისა და შავ ზღვებს. ეს „ბლოკადა“ ოცზე მეტი გემით განხორციელდა. რუსებს ნაწილობრივ დაეხმარა თურქეთის მიერ მონტროს საერთაშორისო კონვენციის თანახმად, დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების ყველა სამხედრო გემისთვის ჩაკეტვა. მიზანი, მოხდეს უკრაინის ეკონომიკური ასფიქსია პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვით, ამ ეტაპისთვის მუშაობს. მართალია, სრუტეები ღიაა, თუმცა ნაღმების შიშით კომერციული გემები ამ ზონაში ცურვისგან მაინც თავს იკავებენ. გარდა ამისა, უკრაინელებს არ შეუძლიათ რუსულ ბლოკადას რკინიგზით შემოუარონ: იმასთან ერთად, რომ უკრაინისა და მისი მეზობლების რკინიგზა შეუთავსებელია, ერთი გემის ოდენობის მარცვლეულის გატანას 15 მატარებელი სჭირდება. თანაც კონფლიქტის გამო ყველა რუმინული და ბულგარული პორტი ბლოკირებულია.

საზღვაო ომის გასაღები სერპენტის კუნძულის გარშემო ტრიალებს, რომელიც უკრაინული სანაპიროდან 35 კმ-ში მდებარეობს. თავდაპირველად რუსებმა ამ სტრატეგიული ჩამკეტის ნეიტრალიზება მოახერხეს, რომელიც ძალიან ახლოსაა დუნაის შესართავთან. უკრაინელების არაერთი თავდასხმის და დაბომბვის შემდეგ მათ ცოტა ხნის წინ შეძლეს, რომ იქ კონტინგენტი და მოკლე, საშუალო და საჰაერო რაკეტების ,,ბატარეები" დაეყენებინათ, ამ დროს კი ტერიტორიას გარშემო გემების ჯაჭვი აკრავს და საზღვაო მიმოსვლას ბლოკავს. თუმცა მოსკოვის გამოწვევა ის იყო, რომ კუნძული ფლოტის დიდი ზარალის გარეშე შეენარჩუნებინათ, რადგან ბლოკადა შევსებას შეუძლებელს ხდის. ამასთან, შესაძლოა, სერპენტის კუნძული შორი მანძილის საარტილერიო ცეცხლის რადიუსში იყოს, როგორიც საფრანგეთის გადაცემული Caesar-ია. კიდევ ერთი რისკი, რომლის მართვაც მოსკოვს უწევს.

Le Monde-ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით მოამზადა მარი მიდასელმა

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აცხადებს, რომ რუსეთმა უკრაინელი ბავშვების ბავშვობა მოიპარა. „სამი თვის წინ ეზოებში თამაშობდნენ, „იუთუბს“ უყურებდნენ და დაბადების დღის აღნიშვნას გეგმავდნენ. 24 თებერვალს ყველაფერი შეიცვალა. რუსეთმა ჩაიდინა ყველაზე საშინელი დანაშაული - მან მოიპარა მათი ბავშვობა. ჩვენი დღევანდელი ბრძოლა არის ბრძოლა ჩვენი შვილების მომავლისთვის“, - წერს პოდოლიაკი „ტვიტერზე“. შეგახსენებთ: უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ 243 ბავშვი გარდაიცვალა და 446 დაშავდა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის სამხედროებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ქალაქ ხერსონთან და წინ მიიწევენ ხარკოვის რეგიონის ნაწილებში. ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს. უკრაინის პირველმა პირმა ასევე დასძინა, რომ რუსეთის არმიას კვლავ აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა აღჭურვილობისა და პერსონალის მხრივ. „ჩვენი დამცველები უაღრეს გამბედაობას იჩენენ და ფრონტზე სიტუაციის ოსტატებად რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის არმიას მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს აღჭურვილობისა და რიცხოვნობის მხრივ“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი ნედ პრაისი აცხადებს, რომ შეერთებული შტატები, როგორც სტრატეგიული პარტნიორი, მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროპულ მისწრაფებებსა და ამბიციებს. კითხვაზე, რამდენად სავარაუდოა, რომ საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ, რომლებიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ელოდებიან, ამ მნიშვნელოვან საფეხურს ახლა მიაღწიონ, ნედ პრაისმა უპასუხა, რომ ეს საკითხი აღნიშნულ სამ ქვეყანას და ევროკავშირს ეხება, თუმცა აშშ მხარს უჭერს მათ. „აშშ, როგორც სტრატეგიული პარტნიორი, მტკიცედ უჭერს მხარს ამ სამი ქვეყნის ევროპულ მისწრაფებებსა და ევროპულ ამბიციებს. ჩვენ ამ ქვეყნების გვერდით ვდგავართ ამ გზაზე, მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან და გავაგრძელებთ მათ გვერდით დგომას“, - განაცხადა ნედ პრაისმა.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, შეერთებული შტატები უკრაინას „უფრო თანამედროვე სარაკეტო სისტემებსა და საბრძოლო მასალას" მიაწვდის. New York Times-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ბაიდენი წერს, რომ აშშ-ის მიზანი უკრაინაში არის „იხილოს დემოკრატიული, დამოუკიდებელი, სუვერენული და აყვავებული უკრაინა, რომელსაც აქვს საშუალებები, შეაკავოს და დაიცვას თავი შემდგომი აგრესიისგან“. მისი თქმით, იარაღის ახალი პარტია საშუალებას მისცემს მათ, უფრო ზუსტად დაარტყან საკვანძო ობიექტებს უკრაინის ბრძოლის ველზე. ამასთან, ბაიდენი ხაზს უსვამს, რომ აშშ არ აპირებს პირდაპირ ჩაერთოს რუსეთთან კონფლიქტში. „ჩვენ არ გვსურს ომი ნატოსა და რუსეთს შორის. რამდენადაც მე არ ვეთანხმები ბატონ პუტინს და მისი ქმედებები აღშფოთებას იწვევს, შეერთებული შტატები არ შეეცდება მოსკოვში მის გადაყენებას. სანამ შეერთებულ შტატებს ან ჩვენს მოკავშირეებს თავს არ დაესხმებიან, ჩვენ ამ კონფლიქტში უშუალოდ არ ჩავერთვებით არც ამერიკული ჯარების უკრაინაში საბრძოლველად გაგზავნით და არც რუსეთის ძალებზე თავდასხმით“, - წერს აშშ-ის პრეზიდენტი.

* * *

ჩვენი ტერიტორიის დათმობას არ ვაპირებთ, რადგან ჩვენი ტერიტორიები ჩვენი ტერიტორიებია: ეს არის ჩვენი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ Newsmax-თან ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, არსებობს გარკვეული სირთულეები გარკვეულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, მაგრამ მათი განხილვა შესაძლებელია. „ზოგიერთ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სირთულეები, არის გარკვეული დეტალები, მაგრამ ყველა ამ სირთულის განხილვა შეიძლება და ეს დისკუსიები საჭირო იქნება ომის შესაჩერებლად“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, უკრაინა არ დათანხმდება ლუგანსკისა და დონეცკის ტერიტორიის დათმობასთან დაკავშირებულ ულტიმატუმს. „თუ ეს იქნება ულტიმატუმი: „უნდა დათმოთ თქვენი ტერიტორიის მესამედი და დაგტოვებთ ცოცხალს და მშვიდად“ - ეს არ არის ის, რაზეც ჩვენ შეგვიძლია დავთანხმდეთ“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

მოამზადა ნაირა ფუტკარაძემ

საჯარო ინფორმაცია

ჯაბა მამულაძე (პ/ნ 61006024746), ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. №72. 558 42 72 92

შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალი“-ს და თქვენ შორის, 2021 წლის 15 ოქტომბერს №HEAD.0010942.001 გენერალური სასესხო ხაზისა და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე და სასესხო ხაზის ფარგლებში, 2021 წლის 15 ოქტომბრის №HEAD.0010942.001-001 სესხის ხელშეკრულებით გაცემული იქნა სესხი შემდეგი პირობებით:

სესხის მოცულობა - 8000.00 ლარი;

სესხის საპროცენტო სარგებელი - 5445,74 ლარი;

სესხის სარგებლობის ვადა - 1096 დღე;

სესხის დაფარვის თარიღი - 15-10-2024 წელი;

სესხის დაფარვის წესი - ყოველთვიური შენატანები.

№HEAD.0010942.001-001 სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, 01/06/2022 წ. მდგომარეობით, თქვენი მიმდინარე დავალიანება შეადგენს **1809,38** ლარს. ვინაიდან დღემდე თქვენ მიერ არაერთხელ დარღვეული იქნა ხელშეკრულების პირობები, შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალი“ ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებებს და მოითხოვს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის, გადახდის დღემდე დარიცხული საპროცენტო სარგებლისა და პირგასამეხლოს დაუყოვნებლივ დაფარვას.

შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალი“, როგორც „მოგირავნე“, გენერალური სასესხო ხაზისა და გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გადმოგვცეთ მფლობელობაში გირავნობის საგანი - სატრანსპორტო საშუალება, ავტომანქანა - **HYUNDAI**, მარკა - **SONATA**, სახელმწიფო ნომერი **OA729OA**, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა - **BV3392670**, საიდენტიფიკაციო ნომერი - **5NPEC4ACXBH172393**, გამოშვების წელი - **2010**, მესაკუთრე - **ჯაბა მამულაძე.**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თქვენ ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის შესახებ.

მოთხოვნის ორი კვირის ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258[1] მუხლის შესაბამისად, მივმართავთ სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას, მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს/თანამდებობის პირს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალების შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალი“-ზე გადმოცემის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და გენერალური სასესხო ხაზისა და გირავნობის ხელშეკრულების 8.1.2. პუნქტის შესაბამისად განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260[1] მუხლის და გენერალური სასესხო ხაზისა და გირავნობის ხელშეკრულების 8.1.1. პუნქტის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალება გადმოვა ჩვენს საკუთრებაში.

შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალი“-ს დირექტორი მამუკა მიქელაძე

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია» პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2[ბ]
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 1/06/22, 21[00] სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

რატომ ჩაიშალა დაგეგმილი ღონისძიებები ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ მოსულა, მაგრამ მინისტრმა სიტყვიერად უკვე გაგვათავისუფლა“, - ამბობს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ჩხაიძე, რომელიც დირექტორ თემურ მახარაძესთან ერთად თანამდებობას ტოვებს

მაინც რას მიიჩნევენ აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად, ამასთან დაკავშირებით გაზეთ „აჭარასთან“ ***გიორგი ჩხაიძემ*** *ისაუბრა, რომლის კომენტარსაც უცვლელად გთავაზობთ:*

- დეტალურად და თანმიმდევრულად მოგახსენებთ - 31 მაისს, დილით შევხვდით ქალბატონ მაია ხაჯიშვილს, რომელმაც სიტყვიერად დაგვიდასტურა, რომ სამინისტროს ჰყავდა შერჩეული სხვა კანდიდატურა, შესაბამისად, არც კი განიხილებოდა ჩვენი შეტანილი განაცხადი კონკურსზე, რადგან იგი ჩატარდებოდა ფორმალურად და ირაკლი კიკვაძე მოვიდოდა სამხატვრო ხელმძღვანელად. აქვე ისიც დაადასტურა, რომ ის შეეცდებოდა, ეთქვა ირაკლისთვის, რომ ჩვენ დავეტოვებინეთ მარიონეტულ სივრცეში და გაგვეგრძელებინა სპექტაკლის დადგმა. ქალბატონი მაია ერთი წლის განმავლობაში ორ-ორი თვით გვგრძელებდა ვადას და პრემიერებზე მოსვლისას, სპექტაკლის შემდეგ, ხშირად ამბობდა, რომ ჩვენ არ შევიცვლებოდით და დავრჩებოდით თეატრში, რადგან თეატრის წარმატება ჩვენი დაუღალავი შრომის შედეგია და ამაზე საზოგადოება აქტიურად საუბრობს. ჩვენთან ბოლო საუბრის დროს მან დაურეკა თავის მოადგილე კაკო ძნელაძეს და სთხოვა, რომ ჩვენი შეხვედრის შემდეგ, შეხვედროდა ირაკლი კიკვაძეს და მასთან დაეზუსტებინა დეტალები, მაგალითად, იმის შესახებ, თუ რატომ გაუონა ინფორმაციამ ირაკლი კიკვაძის მხრიდან, რომ ის ინიშნებოდა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ჩვენ და მინისტრი ერთმანეთს დავემშვიდობეთ კარგად, ქალბატონმა მაიამ გვითხრა, რომ არ აპირებდა ჩვენს, როგორც ხელოვანების, დაკარგვას და ეცდებოდა ჩვენს დასაქმებას. ბრძანება უფლებამოსილების შეჩერების შესახებ ამ ეტაპამდე არ მოგვსვლია. მეტიც, ტელევიზიებმა სიუჟეტი რომ გააკეთეს, მხოლოდ შემდეგ გამოცხადდა კონკურსი. აქვე განვმარტავ, კონკურსი უნდა გამოცხადდეს სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ათი დღით ადრე, ამ შემთხვევაში კი პროცედურულად დარღვევით მოხდა გამოცხადება. შესაბამისად, ეს უკანონობაა. ასევე - ლაშა ჩხარტიშვილი, საკონკურსო კომისიის წევრი, თეატრის წინა ხელმძღვანელის მეუღლეა, რომელიც ყოველთვის კონფლიქტში იმყოფებოდა ჩვენთან, რადგანაც ვერ აიტანა მეუღლის გათავისუფლება. მოგეხსენებათ, მე 2017 წელს ჩავანაცვლე მედეა ჩარკვიანი თემურ მახარაძეთი. ნერონ აბულაძეც, რომელიც, ასევე, კომისიის წევრია და ადრე თეატრის თანამშრომელი იყო, გავათავისუფლე გაცდენების გამო. ის ცხოვრობს თბილისში, ვერ ახერხებდა სამსახურში სიარულს. არაერთი გაფრთხილების შემდეგ გავათავისუფლე. იგი გვემუქრებოდა, რომ ჩვენ ვერ დავრჩებოდით თეატრში. რაც შეეხება პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს ჩაშლილ კონცერტს და სხვა დღეებში ჩანიშნულ ღონისძიებებს, თეატრს არ გააჩნდა გარეთ გასატანი დინამიკები. 4 წლის განმავლობაში სარგებლობდნენ ჩემი გახმოვანების სისტემით. რა თქმა უნდა, ჩემი გათავისუფლების შემდეგ, აღნიშნული ტექნიკა გავიტანე თოჯინების თეატრიდან. შესაბამისად, მათ აღარ გააჩნდათ აუცილებელი ტექნიკა, რის შესახებაც ჩვენ ჩავაყენეთ საქმის კურსში კულტურის დეპარტამენტი, რათა უზრუნველეყოთ ღონისძიებისთვის საჭირო ინვენტარი, თუმცა არანაირი რეაგირება ჰქონიათ. ასევე, რა თქმა უნდა, ჩემი სპექტაკლები უჩემოდ ვერ გავა, რადგანაც ისინი დაკავშირებულია ჩემს ფიზიკურ შრომასთან. აღნიშნული სპექტაკლები ჩამოიწერება რეპერტუარიდან, რადგანაც მე არ მქონდა საავტორო უფლებებზე უარი ნათქვამი, რაც დასტურდება ხელშეკრულებითაც. თეატრს ჰქონდა ამ სპექტაკლების სარგებლობის უფლება კონკრეტული ვადით. შესაბამისად, აღნიშნულ კონცერტში ვერავინ ვერ იმღერებდა იმ სპექტაკლიდან ამოღებულ სიმღერებს, რადგან ეს ჩემი ინტელექტუალური საკუთრება გახლდათ, რამაც ასევე გამოიწვია კონცერტის ჩაშლა. ასევე, კონცერტს ჰყავდა რეჟისორი დაქირავებული, თუმცა მან ვერ შეძლო სრულყოფილად განეხორციელებინა საქმიანობა, რადგანაც ჩემთან ერთად რამდენიმე თანამშრომელმა დაწერა განცხადება გათავისუფლების შესახებ და თეატრს აღარ ჰყავდა რეალურად მმართველი ძალა. რამდენიმე თანამშრომელი გავიდა შვებულებაში... ასე რომ, მიზანმიმართულად არავის არაფერი ჩაუშლია. სამი თებერვლის შემდეგ, რაც შედგა საკონკურსო კომისია, ირაკლი კიკვაძე და მისი გუნდი, რომელსაც თოჯინების თეატრში მოსვლა სურს, ცდილობდნენ თეატრის თანამშრომლებთან დაკავშირებას, დაუკავშირდნენ ჩემს ბუღალტერს და სთხოვეს შეხვედრები, უთხრეს, რომ იყო სიახლეები და აპირებდნენ რაღაცებზე საუბარს. ეს ამბები მიდიოდა მთელი ზამთრის განმავლობაში. ჩვენ, უბრალოდ, გვიხანგრძლივებდნენ ვადას და ეძებდნენ მომენტს, როდის გვიმტყუნებდა ნერვები და დავწერდით განცხადებას. გათავისუფლებას ვუკავშირებთ ჩვენს პოლიტიკურ პოსტებს, რომლებიც მოჰყვა უკრაინის ომს. ჩვენ დავაფიქსირეთ მოქალაქეობრივი პოზიციები და არა სამსახურებრივი. არასოდეს ვყოფილვართ პოლიტიკაში ჩართულები, თუმცაღა აღნიშნულ სიტუაციაში ყველა ადამიანს ჰქონდა მისი აზრის დაფიქსირების საშუალებაც. დიდი ალბათობით მათ ეს არ მოეწონათ, რაც გახდა ამ ყველაფრის მიზეზი, რადგან ადრე ისინიც ადასტურებდნენ, თუ რა წარმატებული გახდა თეატრი, მაგრამ არ გვაპატიეს მოქალაქეობრივი პოზიციები. აქვე ხაზს ვუსვამ, რომ არცერთ პარტიას არ მივეკუთვნები და მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მოქალაქეობრივი აზრი გამაჩნია პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ვაპირებ ბრძოლას, შემაქვს კონკურსში განაცხადი არა იმისთვის, რომ გავიმარჯვო, ვიცი, რომ ამის საშუალებას არ მომცემენ, მაგრამ პირველ რიგში, ვაპირებ საკონკურსო კომისიის სახელზე წერილის შეტანას და ვაპირებ საკონკურსო კომისიის აცილებას, რადგანაც ისინი ჩემთან ინტერესთა კონფლიქტში არიან. არ მინდა დაინიშნოს ირაკლი კიკვაძე, რადგანაც წინასწარ არის შერჩეული, - განაცხადა გიორგი ჩხაიძემ.

გთავაზობთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ ***მაია ხაჯიშვილის*** *საპასუხო კომენტარს:*

- ჯერ კიდევ შარშან ამოიწურა რეგიონის სამივე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა, მაგრამ ვინაიდან იყო პანდემია, ასევე სხვა არაერთი პრობლემა კულტურასთან მიმართებაში, დროებით შეჩერდა კულტურული აქტივობა, მივიღეთ გადაწყვეტილება და ყველა სამხატვრო ხელმძღვანელს რეგიონში, შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, გავუგრძელეთ უფლებამოსილების ვადა, რომელიც სამივე თეატრთან მიმართებაში 31 მაისს ამოიწურა. სამივე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან შედგა საუბარი, რომ ამ ეტაპზე ვადის გაგრძელება აღარ მოხდებოდა, რადგან აღარ არის პანდემია. შესაბამისად, აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ამ გადაწყვეტილებას ვეღარ მივიღებდით და გამოცხადდებოდა კონკურსები. რაც შეეხება გიორგის მიერ ირაკლი კიკვაძის სახელის ხსენებას, ეს ინფორმაცია ნამდვილად თავად გააჟღერა, თუმცა მინდა გითხრათ, იქვე დავაფიქსირე, რომ ეს დამალული არც არის და სხვა კონკურსანტები და დაინტერესებული პირები გვეკითხებიან ამ საკითხზე. ღიად ვისაუბრეთ იმაზე, რომ თოჯინების თეატრთან მიმართებაში ძალიან ბევრ ხელოვანს აქვს სურვილი, ინტერესი და კონკრეტული ადამიანის მოაზრება აღნიშნულ პოზიციაზე, არც განხილულა და ვერც განიხილებოდა, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა კონკურსის წესით ხდება. სამინისტრო სწორედ იმიტომ აცხადებს კონკურსს, რომ ყველას მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, მათ შორის გიორგისაც და სხვა ხელოვანებსაც. ისე გამოდის, გიორგის კონკურსთან დაკავშირებით ჰქონია პრობლემა, ანუ კონკურსი არ უნდა გამოგვეცხადებინა სამინისტროს? კომისია რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ამის თაობაზე მოსაზრებები არცერთ მხარეს არ შეიძლება ჰქონდეს წინასწარ. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტული დებულების საფუძველზე, ეს დებულება ხელმისაწვდომია და დევს სამინისტროს გვერდზე, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს კანდიდატის კონცეფცია, საჯარო ინფორმაციაა და აბსოლუტურად ხელმისაწვდომია. აქედან გამომდინარე, ვინც უკეთეს პროექტს და განვითარების პერსპექტივას შემოიტანს, იმაზე ვიმსჯელებთ.

რამდენი სიახლე გაკეთდა თეატრთან მიმართებაში? ძალიან ბევრი. ამიტომ, რაიმე ისეთი საკითხი რომ ყოფილიყო, აუცილებლად ვიტყოდით. როგორც მითხარით, უკრაინის თემასთან დაკავშირებულ თავის პოსტებზე ისაუბრა გიორგიმ, ამის შესახებ იმის თქმა შემიძლია, რომ სამინისტროს პოზიციები ძალიან მკაცრად აქვს გამოხატული და ძალიან ბევრს აკეთებს ჩვენი უწყება, მათ შორის კულტურის დაწესებულებასთან ერთად უკრაინელი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდასაჭერად. შესაბამისად, საერთოდ, ვერ ვხვდები, რა შუაშია ეს საკითხი. პირიქით, უკრაინელი ახალგაზრდებისა და ბავშვების მხარდაჭერა ჩვენი სამინისტროს ყველა სფეროს ცალსახა პოზიციაა და ამ კუთხით არაერთი პროექტი განვახორციელეთ. სამინისტროს მხარდაჭერას თოჯინების თეატრის მიმართ, იქნებოდა ეს სხვადასხვა პროექტის დაფინანსება თუ პრემიერების მხარდაჭერა, მე მგონი ქალაქი ნათლად ხედავდა. ჩვენც ყოველთვის, ყველა ინიციატივას, რომელიც ემსახურება ბავშვებისთვის უკეთეს შეთავაზებას, მხარს ვუჭერთ. ამ შემთხვევაში არ მომხდარა კონკრეტული დადაწყვეტილების მიღება ერთ თეატრთან მიმართებაში. ჩვენი პოზიციაა, რაც შეიძლება კარგი და საინტერესო კონცეფცია იქნას შემოტანილი იმისთვის, რომ თეატრი უფრო წინ წავიდეს და უფრო მეტად გაგრძელდეს განვითარება. ყველა კონკურსანტს ვუსურვებ წარმატებას!

„ბათუმი - უკრაინისთვის“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ასე ეწოდებოდა ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართულ საქველმოქმედო საღამოს, რომელიც ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო მომღერალ აჩიკო გოგიტიძესა და უკრაინის სახალხო არტისტს, ლესია უკრაინკას სახელობის დრამატული თეატრის მსახიობ ოლგა კულჩიცკაიას მიჰყავდათ

საქველმოქმედო საღამოს ჩატარების იდეა მუსიკალურ ცენტრს ეკუთვნის (დირექტორი - გიორგი მიქელაძე), მასში მონაწილეობის მისაღებად კი რამდენიმე კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებლები გაერთიანდნენ. ასე შედგა სიყვარულის, მეგობრობის, უკრაინელთა სოლიდარობის ძალიან თბილი საღამო....

გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა მთლიანად უკრაინელ მეგობრებს მოხმარდება. ბევრი, ვინც ბილეთი შეიძინა, კონცერტს ვერ დაესწრო, მაგრამ საკუთარი წვლილი მაინც შეიტანა ამ კეთილშობილურ საქმეში, ამიტომ დარბაზი თითქმის სავსე იყო. საღამოზე არაერთი უკრაინელი იმყოფებოდა.

კონცერტის დაწყების წინ შესრულდა უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი. ოლგა კულჩიცკაიამ წაიკითხა მონოლოგი „ლოცვა გმირებისთვის“. საერთოდ, კონცერტი ამაღლებულ ნოტზე ჩატარდა, თითოეულ ნომერს უხვად აჯილდოებდა მსმენელი მქუხარე ტაშით.

- დიდი მადლობა საქართველოს თბილი მიღებისთვის. ბათუმში უკვე რვა წელზე მეტია, ვცხოვრობ, მაგრამ ყოველდღიურად ვხვდებით უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს. დღეს ამ კონცერტს ბევრი უკრაინელი დაესწრო. მათ ცოტათი მაინც დაივიწყეს მძიმე წუთები. ქალაქში უკრაინის სახელმწიფო დროშას რომ ვხედავთ, თვალზე ცრემლი გვადგება, ქართველი ხალხის მხარდაჭერას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობთ, ამიტომ გემადლიერებით ასე. დღევანდელი კონცერტი არაჩვეულებრივი იყო. ჯერ ერთი, მადლობა იმისთვის, რომ ის უკრაინის მხარდასაჭერად გამართეთ, მეორეც - ჩვენი ლტოვილები დაესწრნენ. სხვა ქვეყანაში რომ უსმენ შენი ქვეყნის ჰიმნს, სულ სხვა განცდაა... გამუდმებით ვტირით, მიტინგები იქნება თუ ასეთი მხარდამჭერი საღამოები. აქ გაისმა უკრაინული სიმღერებიც და... ჩემი ბებო გამახსენდა, რომელიც სულ მიმღეროდა. რაც შეეხება თქვენს ცეკვებს, მუდამ გვაოცებთ. რაღაცით ჰგავს ჩვენი და თქვენი ცეკვები ერთმანეთს. ერთხელ უკრაინაში საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველები და უკრაინელები და ეს დიდი დღესასწაული იყო. „სუხიშვილები“ რომ ჩამოდიან, ბილეთს პრაქტიკულად ვერ იშოვი - ნახევარი წლით ადრე იყიდება. უამრავი ადამიანი ესწრება ამ გულთბილ საღამოებს, - გვითხრა უკრაინელმა ირინა გორსკაიამ.

საღამოში მონაწილეობდნენ: სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, საოპერო დასი და ახალგაზრდული მუსიკალური თეატრის სოლისტები, სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“, ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“, ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთაწმინდა“, უკრაინული ქორეოგრაფიული ანსამბლი „რასა“, რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდი, ჯგუფი „FLY Life Ballet“, (სოლისტები - აჩიკო გოგიტიძე, ნიკო ბერიძე, სულხან დევაძე, ნონა კორიფაძე), ირაკლი კორიფაძე, ლაშა ღლონტის სტუდია „ლალე“, სტუდია „ზღვის შვილები“, კონცერტის დირიჟორი - დავით მუქერია, რეჟისორი - ზვიად მურვანიძე.